



ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2019

* პოეზია სინამდვილეში არც ისეთი ცუდი რამეა, ბევრი რომ ცდილობს, წარმოგვიდგინოს.

* ნელა. ცოტა. დაკვირვებით. სიყვარულით. ოქრო. ახლა მაინც არავინ გექაჩება მაგ შენს პოეზიაზე. ისტორიას კიდევ ცუდს ხომ არ დაუტოვებ? თვითონაც არ დაიტოვებს, ისე.

* პოეზიაში ენის შესაძლებლობების, ანუ, ფაქტობრივად, ენის გამოყენებლობა მხოლოდ ენის უპატივცემულობას არ ნიშნავს. ამას გარდა, ეს არის საკუთარი თავის, საკუთარი ერის უმნიშვნელობის აღიარებაც. ეს დამოკიდებულება უსაფუძვლოა თუ საფუძვლიანი, სხვა საკითხია.

* ვერლიბრისა და კონვენციის „ურთიერთკონფლიქტით“ ორივე ნაკადი „სარგებლობს“, ოღონდ — პოეზიის საზიანოდ: რაც უფრო მწვავეა კონფლიქტი, ორივე მეტ ნაგავს მოათრევს (პოეზიად რომ შემოგვასალოს), შესაბამისად, უფრო მეტად ამღვრევს წყალს, და, შესაბამისადვე, უფრო წარმატებით უშლის ხელს პოეზიის განვითარებას, დიდი პოეზიის შექმნას.

* ლექსი, რომლის კითხვისას ვგრძნობ, რომ მისი დაწერა უკეთესად შეიძლებოდა, კარგ ლექსად ველარ მიმაჩნია.

* მწერლის შემოქმედებაში ვარიანტების მოხშირება შეიძლება ორიდან ერთის ნიშანი იყოს: ან ვერა და ვერ ისწავლა წერა, ან ბოლოს და ბოლოს ისწავლა, რომ ყოველთვის არსებობს კარგზე უკეთესი — თეორიულად, პოტენციურად.

* პოეზიის ცოდნის შესამოწმებლად რამდენიმე საზომი მაქვს, თუმცა მათი სრულყოფილების რა მოგახსენოთ. მაგალითად, ამ საზომებს შორისაა ერთი კონკრეტული ავტორის (საჯაროდ დასახელებას მოვერიდები) ლექსები. მარტივია: ვინც ამ ლექსებს კარგ პოეზიად არ აღიარებს, მას პოეზია არ ესმის... თუმცა, სამწუხაროდ, ეს იმასაც არ ნიშნავს, რომ ვისაც ეს ლექსები მოსწონს, იმას ესმის პოეზია.

* კი — ლექსით უნდა იცნობოდეს პოეტი. მაგრამ, ამასთან, პოეტის ერთი ლექსი მეორისგან უნდა გაირჩეოდეს.

* შენ, ვისაც პოეზია არ გიყვარს, პოეზია იმიტომ არ გიყვარს, რომ არ იცი, პოეზია რა არის, და პოეზია ის გგონია, რაც იმას ჰგონია, ვისაც პოეზია უყვარს.

II-III



დოდო ჭუმბურიძე

ნუგზარ ზაზანაშვილი

იასამანი აყვავდა ისევ და აყვავდება ისევ და ისევ...
სულელეზობით ვილატას მივსდევთ, მივრბივართ, მივსდევთ, ნატავი — საით?..
როგორც გვიჩვენა ერთი მხატვარი — შეეჩერდეთ, დავესხდეთ, დავლიოთ ჩაი, ან ყავა, ანდა მოვწრუპოთ ლუდი და წავიკითხოთ ისეთი ლექსი, რომელიც თითქოს სუყველას გვესმის,
მაგალითად: წავიდა თოვლი, მოვიდა მინა...
და ვისხდეთ ასე, ვუცქიროთ აპრილს და იასამანს და ვიბაასოთ, სხვებმა ირბინონ, დაე, გაგვასწრონ, ჩვენ კი უბრალოდ ვიფიქროთ — საით?..
კარგია ლუდიც, ყავაც და ჩაიც...

IV



ჭირსა მრავალს შევრთე ერთიც, დამზრალ გულს ვცხე სიტფო მადლის, ლუნი რომ არ გახდეს კენტი, შიშს ვჭამ ციდან ჩამოვარდნის. ჩემს ცხოვრებას, ვითომ მდორეს, ზღვაზე შტორმს და დელგმას ვადრი, გაიეღვებს თვალწინ შორეთს წუთისოფლის ყველა კადრი. ზოგი უნდა ყოფილიყო, არ ვლბულობ ზოგსაც კადრით, ახლა ვილატ რომ ქილიკობს, — ელის მასაც მინა ადლით...

ზაალ ებანოძე და პერას ამბოზა...

მოგესურვება, გახვიდე ხალხში, დაადგებ ჩრდილს და გადგები მზეზე, ერთდამავს თვალებით ბავშვის მთელი ცხოვრება კარგავ და ეძებ.
გაყურადებენ ზერელე მზერით ლანდით მჩატედ მარებელს გზაზე და ჩირად უღირთ ბომონი შენი ამ ჩია, მაგრამ პრაქტიკულ კაცებს.
არ ამხელ, თორემ ხომ ვიცი, ტირი, ხანდახან ჩუმად — ჩვენს შორის დარჩეს და ვერას ამბობ, რადგანაც პირი, თევზის არ იყოს — წყლითა გაქვს სახე.

VIII



* ვის უნდა გავაგებინოთ, პოეზია რა არის? ამდენი ხანია, ვწერთ, და ჩვენ თვითონ ვერ ჩამოგვიყალიბებია, ზუსტი კი არა, თუნდაც გასაგები განმარტება. ყოველ შემთხვევაში — მე.

* ესეც სამყაროს წარმოშობის საკითხი ან სიცოცხლის აზრი ხომ არ არის?! ვილაცას ხომ უნდა ესმოდეს ეს... დალოცვილი პოეზია?!

* პოეზია იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რასაც პრაქტიკული ფსიქოლოგია ცდილობს. მეორე ამჟღავნებს — ყველაფერი არაფერიაო, პირველი აღიზიანებს — არაფერიც ყველაფერიაო.

* ზოგ პოეზიას საერთოდ არა აქვს მეტი მიზანი, დანიშნულება და „ღირებულება“, გარდა იმისა, რომ გააღიზიანოს. რა თქმა უნდა, საუკეთესო პოეზიას არ ვგულისხმობ.

* სახელმწიფოში ფულს ვინმე ტალანტიანი (ამ შემთხვევაში ნიჭს ვგულისხმობ) ზარაფი არ ჭრის. ფულს სახელმწიფო ჭრის — როცა სახელმწიფო სახელმწიფოა, ფეხზე დგას, ძლიერია.

* დღეს ქართულ ენაზე მაღალმხატვრული პოეზიის წერა ახირებას ჰგავს. არ არსებობს ის ლიტერატურული სახელმწიფო, რომელიც ამას უნდა ინვესტირებდეს, ამას ესაფუძვლებოდა. ხოლო მტკიცება, რომ ასე იმიტომ შერები და სხვანაირად არ იზამ, რაკი ნიჭიერი პოეტ-ზარაფი ხარ, ცოტა ბრიყვულად ისმის და გამოიყურება.

* ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, თითქოს შექმნილი პოეზია არავის სჭირდებოდეს; თითქოს მხოლოდ შემქმნელს სჭირდებოდეს მისი შექმნა, როგორც უნარის, შესაძლებლობის გამოყენება და გამოუმჯავანება.

* როგორც ირკვევა, პოეზიას ცოტა მკითხველი ჰყავს ყველა ქვეყანაში და ყველა ენაზე. ზოგი სულაც მიიჩნევს, რომ დღეს ის გადასარჩენია. ამის ერთ-ერთ საშუალებად კი შეიძლება პოეზიის თარგმნაც დავიანახოთ. ყოველ შემთხვევაში, თარგმნა — თეორიულად მაინც — უფრო ხელმისაწვდომს ხდის ამა თუ იმ კონკრეტულ (ნათარგმნ) პოეზიას. ეგ არის, აქვე პარადოქსიც ჩასაფრებულა: უნდა თარგმნო იმიტომ, რომ ცოტა კითხულობს... რას იზამ — პოეზია, საერთოდ, არაპრაგმატულ საქმედ, არაპრაგმატული ადამიანების საქმედ მიიჩნევა.

* პოეზიის გადარჩენასვე უნდა ეხმარებოდეს ასეთი სახელწოდების პროექტები, აქციები, ღონისძიებები: „პოეზია საზღვრებს გარეშე“, „პოეზია კედლებს გარეშე“... თუმცა მერე საჭირო ხდება ხოლმე ამ სახელწოდებების განმარტება და ჩვენც ვისმენთ: პოეზიისთვის საზღვრები არ არსებობს, პოეზია ყველა კედელს ანგრევს...

* სინამდვილეში კი, პოეზიას უამრავი რამ საზღვრავს, და მისი გარემომცველი კედლები სულ უფრო და უფრო მიიწვევენ ერთმანეთისკენ.

* ისიც პარადოქსს ჰგავს, რომ პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ზღვარი, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არის მისივე სხეული — ენა.

* ბევრი ფიქრობს, რომ პოეზიის თარგმნა შეუძლებელია. ვინც ამას არ ეთანხმება, მგონი, მათი უმრავლესობა თარგმნის. თუმცა ვინც თარგმნის, არ ნიშნავს, რომ მათი ნაწილი მაინც არ ეთანხმება ამას. ეთანხმება, მაგრამ თარგმნის ისე, როგორც შესაძლებელია.

* მე, პირადად, იმის წარმოდგენა ცოტათი მაშინებს კიდევ, თუ რა ძალისხმევას მოითხოვს დიდი წიგნების სრულფასოვანთან მიახლოებულად თარგმნა. პოეზიის სრულფასოვანთან მიახლოებულად თარგმნა კი შეუძლებელთან მიახლოებულად მგონია.


* რა თქმა უნდა, არსებობს სათარგმნად შედარებით ადვილი ან, გნებავთ — „შედარებით შესაძლებელი“, და უფრო რთული ანუ „უფრო შეუძლებელი“ პოეზიები.

გასაგებია, რომელთან შეჭიდებასაც ამჯობინებენ მთარგმნელები.

და რას იზამ, თუ სწორი, სამართლიანი და, ზოგადად, პოეზიისთვის სასარგებლო იქნებოდა, ყველა ტიპის პოეზიას მისცემოდა უცხოელ მკითხველამდე მიღწევის შანსი; და არა პირიქით — ხდებოდა ის, რაც ხდება: საზღვრებზე გადასვლის სურვილი ამა თუ იმ პოეზიას წინასწარ გაჭრილ, ვინრო, ერთნაირ კალაპოტში მოქცევას აიძულებდეს; აიძულებდეს, უბრალოდ, უარი თქვას ენაზე, მასში ჩანსხილ შესაძლებლობებზე...

* ანუ იქმნებოდა ვითარება, რომელიც თუნდაც თეორიულად დაგვაშვებინებს ასეთ ლიტერატურულ მომავალს: ყველგან და ყველა ენაზე ერთნაირი პოეზია დაინეროს და, შესაბამისად, მისმა თარგმნამაც დაკარგოს აზრი.

* ახლა ფიქრობ, ამ ბოლო დროს გადავაჭარბე, პოეზიის ქმნის მთავარ საფუძვლად (როგორც მახსოვს) ამისი შესაძლებლობის ქონა და მისი გამოყენების სურვილი რომ დავსახე. კარგი, რაღაც მსგავსი შეგრძნება ახლაც მაქვს; მაგალითების



მოტანაც შეიძლება... მაგრამ იმით რაღა ვუყოთ, ვინც მაინც წერენ პოეზიას („პოეზიას“), მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთოდ, კატეგორიულად არ შეუძლიათ?

* ყოველთვის დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდი ხელოვნებას. ლექსსაც — ანუ იმასაც, რაც ხელოვნებაში ყველაზე კარგად ვიც(ოდ)ი. თუმცა ზოგჯერ ასეთი დამოკიდებულება არ მომწონდა. ახლაც ვფიქრობ, რომ მეტიმეტმა მოკრძალებამ გარკვეულწილად შემაფრთხა, გასაბედი არ გამაბედინა... მაგრამ იმასაც ვატყობ, რომ მთლიანობაში მართალი ვიყავი.

* ამას კი იმიტომ ვატყობ, რომ ამასაც ვატყობ: დღეს იმათგან, ვინც ლექსზე საჯაროდ ლაპარაკობს, ძალიან ცოტას აქვს იმაზე წარმოდგენა, რაზეც ლაპარაკობს. ვიმეორებ: წარმოდგენა აქვს. არ ვგულისხმობ, რომ კარგად ერკვევა.

* საკუთარი შემოქმედების კვლევას ჩვენში არაერთი პოეტი შესჭიდებია; ზოგი — ფსევდონიმით, ზოგი — მგონი, უფრო დაუფარავად.

* თანდათან სულ უფრო მეტად მათი იგრძნობა ეს საცდური, კი.

* ვრცელ ნაწარმოებს ალბათ განსაკუთრებით მოეთხოვება განსაკუთრებული ენა და სტრუქტურა — აი, ისეთი, ტექსტის ნაკითხვას რომ... „აადვილებს“ თუ ცუდი სიტყვაა, მაშინ — შესაძლებელს მაინც რომ ხდის.

* აბა, ამხელას და ასე რთულს ვინ წაიკითხავსო — მკითხველისადმი საყვედურის ტონით არ უნდა ამბობდეს ავტორი.

* „ვეფხისტყაოსანი“ იცოდნენ და იციან ზეპირად.

* არის ერთი განცდა, რომელიც მწერლისთვის ეპიკონობის კატეგორიის საფრთხეებს შეიცავს. ეს არის სიახლის უნდობლობა, ნდობა მხოლოდ ნაცნობისა. ახალი ფორმისა თუ შინაარსისა არ გჯერა. მიაგენი, მიადექი, მაგრამ ვერ უჯერებ, არ იჯერებ, რომ ეს, ასე შეიძლება. იმიტომ, რომ მიგნიდან თითქოს არ ეხმიანება, არ ელის, არ იღებს მანამდე ნაკითხული, გაგონილი, დალექილი. მეორე შემთხვევაში — პირიქით.

* საბედნიეროდ, ეს განცდა არ არის უძლეველი — კერძოდ, ნიჭის, გამოცდილებისა და შრომის წინაშე.

* ამ მწერლის კიდევ ერთი საინტერესო ნიგნი ნაკითხვებზე და კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ ნაწარმოების კითხვისას ავტორის პირადი ნაცნობობა არ ღირს.

* არა, ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ იმდენად სახასიათო ტიპაჟია, რომ შეუძლებელი მგონია, მის ნაწერს — პირველ პირში — კითხულობდე და მთხრობელად (მთავარ გმირად) სხვა ვინმეს წარმოიდგენდე. გასაგებია, რომ ნიგნი სწორედ ამ (ნაც-

ეპიზოდებზე ან ინტენსიურ წინეზებადამოკიდებული. მაგალითად, დიდი ბუნების საქციელი უფრო ეფექტური იქნებოდა, შვილიშვილისთვის ხელი რომ დაეწყო და ხალიჩებით გამოტენილ ოთახში გამოეკეტა რამდენიმე წლით, ან ხალიჩების ქსოვის სასწავლად მიებარებინა სადმე.

* საერთოდაც, სულ ცოტა, არასწორად მეჩვენება, ნიგნის პერსონაჟებს ავტორის გაქანების წარმოსახვა, ქცევა თუ მეტყველება რომ ახასიათებთ...

* არადა, ეს ყველაფერი რომანებში არათუ ხშირია, არამედ, მგონი, საყოველთაოა. ასეთი ეპიზოდები ხომ მშვენიერი საშუალებაა კომპოზიციის შესაკრავად. და თითქოს არა უშავს, პატივცემული ნიგნი ამით პოლიუფდის იმ მდარე პროდუქტს თუ ემსგავსება, რომლის პერსონაჟიც, ვიდრე თავის ყველაზე მნიშვნელოვან — საკათარზისე ან სულაც თავგანწირულ — საქციელს ჩაიდენდეს, ამბობს: „ერთხელ მამაჩემმა მითხრა...“

(ეს ყოველივე არ ნიშნავს, რომ „მერვე სიცოცხლეს“ ამის გამო განსაკუთრებულად ვერჩი. მაგალითი იყო. უფრო სწორად, მაგისი კითხვისას ნამოტივტივდა, როგორც თავშივე ვთქვი).

* მწერლობა ფაქტებს, მოვლენებს, ობიექტებს, ამბებს შორის კავშირის, ან უფრო მარტივად და ზუსტად რომ ვთქვა — მათი ურთიერთმიმართების დანახვა და აღწერაა. რა თქმა უნდა, ის დამოკიდებულია მწერალზე, როგორც სუბიექტზე, მის კონკრეტულ ხედვაზე და ამას ვერ გავუქცევით. ალბათ, არც უნდა გავუქცევთ. სხვა საქმეა ინტერპრეტაცია, მწერლის „ჩარევის“ ხარისხი. თვით ავტორის მძლავრი წარმოსახვა, რაც, ზოგადად, მწერლის დადებით და აუცილებელ თვისებადაც კი მიიჩნევა, ამავე დროს, შეიცავს რეალურ საფრთხეს, გაამრუდოს სიმართლე, და ზემოხსენებული ურთიერთმიმართების წარმოაჩინოს არა ობიექტურად, არამედ... თუნდაც ისე, როგორც ვთქვამთ, სიუჟეტის ჩანაფიქრის მიხედვით განვითარებას შეეწეოდა. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი საფრთხეა და თან, არა, უბრალოდ, რეალური, არამედ ისეთიც, რომლის აცილებაც, პრაქტიკულად (უკეთეს შემთხვევაში — თითქმის), შეუძლებელია.

* სავარაუდოდ, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მწერლობა ცხოვრებას, ადამიანს იმაზე მეტად ვერ ეხმარება, ვიდრე სინამდვილეში ეხმარება.

* ერთი-ორჯერ, როცა ლიტერატურულ თემაზე რაღაც მკითხეს, უნებურად ჩემივე ჩანაწერები მოვიხსენიე და „დავიმონმე“ — თითქოს საავტორო უფლება დაეცავი და ციტატის უავტოროდ დასახელებას მოვერიდე.

* ასე შეიძლება იმიტომ ვქენი, რომ ჩანაწერებს უფრო ვენდობოდი, ვიდრე საკუთარ თავს კითხვის დასმის მომენტში. უფრო სწორად, ასეთ კითხვებზე პასუხების მარტივად, მსჯელობის გარეშე, მსჯელობის გულისხმობის გარეშე გაცემა არასწორად მომეჩვენა, და ამასთან, მახსოვდა, როგორი მართალი ვიყავი მაშინ, როცა ჩანაწერებს ვინერდი.

* ჩანაწერებში გადმოცემული ფიქრების, შეგრძნებების გაჩენის სიმართლეს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, და არა — მათ ურყევ ქეშმარიტებას.

* ეს ჩანაწერები? ტვინში მყისიერი განათება — რაც ჭეშმარიტების) გასხივოსნებას სულაც არ ნიშნავს — რომლებიც ჩანწერა-გადაკითხვის შემდეგ არც ისე სულელური აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათი გამოქვეყნება სამარცხვინოდ არ დანაშაულად ჩანდეს — და რომელთა სათანადო — საგარეოდ გადამუშავება (რედაქტირება) შესაძლებელია.

* მთელი ცხოვრება ვითომლექსს რომ წერენ, და ჰგონიათ, ლექსს წერენ... აი, მაგათ რა უზადრუკი რამე ჰგონიათ ლექსი... იმაზე გაცილებით უზადრუკი რამე, ვიდრე სინამდვილეშია.

* ერთგვარად ერთგული ხალხი კია. ასეთი უზადრუკი რამე ჰგონიათ ლექსი და მაინც მთელი ცხოვრება წერენ.



* არც ის არის „ჩემი“, ნორმალური, საკ-
მაო დონის პოეტი სხვა პოეტზე რომ ამ-
ბობს — სასწაულებს შერებო (და ამ საო-
ცრებებში მის ტექსტებს გულისხმობს)!
ამით ხომ იმასაც მიგვანიშნებს, რომ თვი-
თონაც სწადის ცოტათი ნაკლებ
სასწაულებს მაინც.

ერთი პროფესიის ადამიანი მეორე
პროფესიაში ნაქნარს რომ მიიჩნევ საო-
ცრებად, ეგ სხვაა. მაგრამ შენ თვითონ
რასაც აკეთებ, ის სასწაული როგორ უნდა
გეგონოს?!

ვგულისხმობ — სასწაულთა სასწაული,
თორემ ისე შეიძლება ყველაფერი
სასწაულად მიიჩნიო. ეგრე, ვთქვათ,
სუნთქვაც სასწაულია, მაგრამ არა მგონია,
ვინმეზე ალტაცებით თქვა — აუ, რა მაგარ-
ია — სუნთქავსო!

* შეიძლება, ლიტერატურა მნიშვნელო-
ვანნილად ისეც მხიბლავდა, როგორც
ურთიერთობის ფორმა, ალტერნატიული
ფორმა.

შეიძლება, მაგიტომაც არ მომწონს,
ურთიერთობის მაგ ფორმის განვითარებას
ურთიერთობის სხვა ფორმების გამოყენე-
ბაც რომ სჭირდება...

* სერიალის სცენარზე მუშაობისას
ზოგჯერ ვერ მივხვდნენ „ახირებას“ — ესა
და ეს პერსონაჟი, ამა და ამ ხასიათებით,
ამისა და ამის ჩადენის მერე ამასა და ამას
ალარ ჩაიდენს, ან კიდევ — ამისა და ამის
შემდეგ ესა და ეს ვერ მოხდება-მეთქი...

პოლივუდის ბრიყვეული სცენარები ახ-
ლაც მალიზიანებს. მაგრამ მათს პროდი-
უსერებს თვითნაბად იდიოტებად უკვე
ალარ მივიჩნევ. უკვე ვფიქრობ: სადაც ის
შედგეს, რომ მართლაც შესანიშნავი მსახ-
იობებისთვის მოყვარათ თავი, ბრწყინვალე
სარეჟისორო თუ ოპერატორული ნამუშე-
ვარი და ფანტასტიკური სპეცეფექტები
მიეღოთ, რამდენიმე ისეთ სცენარისტსაც
მოიძიებდნენ, რეალური ცხოვრებისა და
ლოგიკისა რაღაც რომ გაეგებათ და შეუ-
ძლიათ, ერთ სიუჟეტში მილიონი ამაზრზე-
ნი სიბრყვე არ ჩაიდინონ.

ეგ კი არა, სავარაუდოდ, ეს უკვე მო-
ძიებულ სცენარისტებსაც შეუძლიათ; შეუ-
ძლიათ უკეთესი, მეტიც — ნორმალური,
და ალბათ კიდევ უფრო კარგი სცენარე-
ბის დანერგვა...

მაგრამ არსებობს ერთი მიზეზი, რის
გამოც ამას არ შერებია: ეს არავის სჭირდ-
ება.

* სამარცხვინო შედეგებით დასრულებუ-
ლი ლიტერატურული კონკურსების შემ-
დეგ არ ღირს ვინმესთვის დამამშვიდებე-
ლი ჩიჩინი, რომ დღევანდელ პრემიას ასი
წლის შემდეგ სატელევიზიო ანძის ძირში
კოტრიალი სჯობს (იქაც არ იკოტრიალებს
და მაგაზეც ემანდ პასუხი არ მოგთხოვ-
ოთ).

კონკურსის შედეგები მაშინა დასაკიდე-
ბელი, თუ შევთანხმდებით, რომ რამე მნიშ-
ვნელოვანი კი არ მოხდა, არამედ რამდენ-
იმე შემთხვევითი ბრიყვი შეიკრიბა და თავი-
სი ერთი ადგილის ქეიფის მიხედვით გასცა
იარლიყები; თუ ამ შედეგს არ მივულოცავთ
გამარჯვებულებს; თუ ეს შედეგი არ მისცემს
მიმართულებას პოტენციური მკითხველის
არჩევანსა და გემოვნებას; და ა. შ.

მაგრამ როცა ყველაფერი ასე არ არის
და როცა გარკვეული ჯგუფი აბსოლუ-
ტური ლიტერატურული კომპეტენციის
პრეტენზიით არიგებს ამ იარლიყებს, მგო-
ნი, სხვა რეაქცია უფრო ბუნებრივი და,
თუნდაც, ლიტერატურისადმი პატივისცე-
მის მიმანიშნებელია...

* თუ ლიტერატორთა დროებით იდუმა-
ლი ჯგუფის გადაწყვეტილება სამარცხვი-
ნოა, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ავ-
ტორიტეტული სახელები აღმოჩნდება
მერე ამ სამარცხვინო გადაწყვეტილების
უკან. ან — აქვს და ასეთი: რაც უფრო ავ-
ტორიტეტულია ეს სახელები, მით უფრო
სამარცხვინოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ
ხსენებული ფაქტი, ისევე, როგორც ის
ფაქტი, რომ ეს სახელები თანამედროვე
ლიტერატურულ გარემოში ავტორიტეტ-
ულია.

* ლიტერატურულ (და მსგავსი ტიპის)
კონკურსებში ყოველწლიურად იმისთვის
არ უნდა იხარჯებოდეს დრო, ენერგია,
ემოცია, ფული, რომ შემდეგ დავსხდეთ
ხოლმე და ას-ასი წლის გასვლას დაველო-
დოთ — ლიტერატურული (და სხვა ტიპის)
სამართლიანობის აღდგენის იმედით და,
გნებავთ, რწმენით.

* — შენ მთლიანად მოიტანე ამ სიმღე-
რის სათქმელი, — ეუბნებიან ჟიურის
წევრები მუსიკალური კონკურსის მონაწი-
ლეებს.

სათქმელი, თორემ სულ ფილოსოფი-
ური სიბრძნეები დევს ამ სიმღერებში, ამ
ტექსტებში...

ტესტის უმრავლესობას ვგულისხმობ,
უმცირესობას — იქნებ არც.



* ბოლო დროს რამდენიმე ცნობილი
სასიმღერო ტექსტი გადაკეთდა. მაგალი-
თად:

„თქვენი იყოს, წაიღეთ სამოთხეც და
ედემიც, მთვრალი თუნდაც ჯოჯოხეთში
წავალ“ — „ღვინო არის სამოთხე, სამოთხე
და ედემი, ვინც არ დაღვეს, ჯოჯოხეთში
წავა“.

„ღმერთო ჩემო, ჩემი ცოდვით დაინვი“
— „ღმერთო, ამ ბავშვების ცოდვით დავი-
წვი“...

აი, ასე იცვლება ღმერთისადმი დამოკ-
იდებულება — იმის გათვალისწინებით, თუ
რას იტყვის ხალხი, და არა — რას იტყვის
ღმერთი.

* გეტყვიან, ლექსი დაწერეო და რაღაც
არწასაკითხს წაგაკითხებენ. „მაგარ“ ანეკ-
დოტს მოგიყვებიან და ტირილი მოგინდე-
ბა...

საშინელებაა ეს პროფესიონალიზმი.

* ზოგი იუმორია — სუსტია, მაგრამ უწყ-
ინარი, უპრეტენზიო... ზოგი — აი, შეგაძა-
ცაგებს!

* ეტყობა, ძალიან ნიჭიერი ფსიქოლო-
გია, რაკი შეძლო, საკუთარი თავი დაერწ-
მუნებინა, ფსიქოლოგი ვარო, ამ საქმეში
სრულიად უნიჭოს.

* ვეტერანი სპორტსმენი — მოქმედი ან
ყოფილი სპორტსმენი, ასაკით 30-დან 130
წლამდე.

* ამ ქვეყანაში ადვოკატი დამჭირდა —
იურისპრუდენცია ვისწავლე, ექიმი დამ-
ჭირდა — მედიცინა, აშენება დამჭირდა —
შენება.

რაღა ლიტერატურის მცოდნეს ვითხ-
ვო, რაღა მაგის შესწავლა არ მოვიხდომე
ვითომ?!

* შენ, რა, ისევ დარწმუნებული ხარ, რომ
რომ პოეზიის ქმნა არაპრაქტიკული, ალ-
ტრუისტული საქმიანობაა და მატერი-
ალური ხეირი არ მოაქვს?

ეს — შეიძლება, შენთვის, თორემ
გაიხედე, გამოიხედე...

* იმას, რასაც ამდენ ლიტერატურულ
ფესტივალზე კითხულობთ, როდისღა
წერთ?

* კითხულობ და გული გწყდება, რომ ამა
თუ იმ შემთხვევაში, ვინმე მხოლოდ გამოჩე-



ნილი კი არა, დიდი მწერალიც კი ვერ მოიქ-
ცა მაინცდამაინც მოსაწონად; აქ ეს დაა-
ბეზლა, იქ იმას ემოქვენლა, სხვისი კუთვ-
ნილი ხომ არაერთხელ აიღო... და არა მხ-
ოლოდ გული გწყდება, თითქოს გიკვირს
კიდევ — ის ხომ დიდი იყო და თან მშ-
ვენიერად იცოდა, რომ ეს ღირსეული
საქციელი არ არის. მაშ, რატომ ქნა?!

მაგრამ მერე გაიხედავ, გამოიხედავ, და
მიხვდები, რომ თურმე არც ისე ადვილი,
ყოველ შემთხვევაში, არც ისე ხშირი ყოფი-
ლა ღირსეულად ცხოვრება — მაშინაც კი,
როცა არც ცოლს გტაცებ ვინმე, არც
გაციმბირებით გემუქრება და არც მუხ-
ლებში გამტვრევს...

* კაი — სწორად ცხოვრება იმიტომ არ
გამოდის, რომ როცა ეგ გამოდის, სხვა
ალარაფერი გამოდის.
და სწორად წერა ხომ შეიძლება, ეს...
დალოცვილი?!

* წერე და იყავი. რას დანერ იმაზე უკეთ-
ესს, რაც დანერია. მერე რა, თუ ზოგჯერ
გეგონება, რომ ამ ქვეყანაში და ამ ქვეყ-
ანაზეც არაფერი დანერია საერთოდ.
ძალას თუ დაიტან, იმითღა ინუგეშებ
თავს — მაშინ მენახა, არ დანერილიყო!

* ასეთი ბედიც ყოფილა:
შენზე მშვენიერ ლექსებსა წერდნენ და
შენ ეს ვერასოდეს შეიტყო.
გაიგე, ქალო?

* როცა ასეთ სილამაზეს უყურებ, ისეთი
შეგრძნება გაქვს, რომ კვდები. ოღონდ ეს
სიკვდილი არც მტკივნეულია, არც — სა-
შიში. სევდიანია მხოლოდ.
გული გწყდება. თითქოს ბავშვი ხარ და
მხოლოდ ჩაუარე ვიტრინას, რომელშიც ის
სანუკვარი სათამაშო მოჩანს, რომელიც

შეიძლება და სხვა ცხოვრებაში შენი ყო-
ფილიყო.

* ისეც ხდება, რომ არის ქალი, რომელ-
იც სრულიად მიუხედავად გგონია,
არაამქვეყნიური გგონია, არც კი გგონია,
რომ მართლა არსებობს... და მერე ამ ქალ-
თან სექსი გაქვს. რბილად რომ ვთქვათ.

* რა უცნაურია:
შეიძლება იყოს ადამიანი, ვისი ყოფნა
შენ ვერც კი დაგვიჯერებია.
ის კი თვითონ იყოს.

* არის თემები, რომლებზეც სოციალურ
ქსელში არ ვპოსტავ, რაკი შეუძლებელია
სათქმელის ერთ მომცრო აბზაცში ისე
ჩატევა, რომ ჯერ გამოხმაურება არ გამ-
ოიწვიოს, შემდეგ — გამოხმაურებაზე
გამოხმაურების საჭიროება და, საბოლოო
ჯამში, დიალოგის უსასრულოდ და უშედე-
გოდ გაგრძელებას არ დაუდოს სათავე.

მოკლედ, მიუხედავად სურვილისა,
ჯერჯერობით, ვერ აღმოვაჩინე საკუთარ
თავში რომანისტი.

* შეუძლებელია, მწერალმაც არ იგ-
რძნოს, რომ ფეისბუქზე პოსტვა უფრო ად-
ვილია...

* პოსტები უფრო ადვილად იწერება და
იკითხება.
რატომ გვანვალბებ, ლიტერატურა?

* კი ბატონო — ამ ფეისბუქს ლიტერა-
ტურის ერთგვარი მხარდაჭერაც არ და-
ვუკარგოთ: ასე თუ ისე (ან რაღა ასე თუ
ისე), ტექსტის გამოქვეყნების საშუალებაა
და, შესაბამისად, თავისებური სტიმულიც
— სანერად, დაწყებულის დასამთავრე-
ბლად, დამთავრებულის დასახვენად გაქე-
ზებს — გელოდებო, გელოდებიანო. მა-
გრამ... რომ იცი, დახვეწისთანავე (ან მან-
ამდეც) გამოაქვეყნებ, გამოუფენ ფეისბუ-
ქის უჭრელეს აუდიტორიას, ეს თითქოს იმ
ინტიმს, გაბედულებას, სინაფელს უქმნის
საშიშროებას, რითიც ლექსი უნდა იწერე-
ბოდეს (გაზეთს, ჟურნალს, წიგნს რომ იყი-
დის, ლიტერატურულ საიტზე რომ შევა, ეგ
სხვა სეგმენტი და სხვა შემთხვევაა). ვინ
წაიკითხავს, ვინ — არა, ვინ რას გაიგებს,
რას — ვერა — ამაზე ამჯერად არაფერს
ვაშობო. ის საშიშროება კი, ზემოთ რომ
ვთქვი, მართლა უნდა არსებობდეს — ალ-
ბათ ვიგრძენი, რაკი ეს დავწერე. და რაკი
ვიგრძენი, იქნებ მოვერიდო, ავირიდო
კიდევ...

* ახლახან ფეისბუქზე ჩატარებულმა
ექსპერიმენტმა სერიოზულად განამტკიცა
იმ მოსაზრების პოზიციები, რომ ხშირად
ჩვენში ლაიქებს, პრემიებს, მხარდაჭერებს,
პროდუქტი კი არა, სახელი იმკის. მეორე
საკითხი ის არის, ეს სახელები როგორ იქმ-
ნება. ეგ რომ მაინც დამსახურებულად
ხდებოდეს, კიდევ არა უშავს.

* ფეისბუქი — პროფანიზაციის, დეკალ-
იგიკაციის მშვენიერი მექანიზმი.
უნყვეტი საჯარო ურთიერთობა ამის
შესანიშნავი საწინდარია.

* გაგეცინება და, ფეისბუქზე ზოგჯერ
საინფორმაციო სააგენტოების ის „ნიუსე-
ბიც“ ქვეყნდება, რომლებშიც წერია, თუ რა
იპოსტება ფეისბუქზე.

* მე მგონი, უკვე ძალიან გაბაზრდა ფეის-
ბუქის გამოგონების ამბავი...

* ფეისბუქი ერთი უზარმაზარი წიგნია,
რომელსაც ყველა ერთად ვწერთ, ვაილუს-
ტრირებთ და ა. შ.
რა გამოგვდის, კი ხედავთ.



ნუგზარ ზაზანაშვილი

მოგულავეთა ალაგას,
რომლითაც ასე ამაყობენ ბაქოელები,
შევედი ერთ-ერთ კაფეში —
სიმწვანემ მიმიზიდა...

აქ ბევრი რამეა პოეტური:

მაგალითად, ეს ორი ხე, რომლებიც არ
მოუჭრიათ — კაფეს ინტერიერისთვის
დაურთავთ თან,

მათ ძირში დარგული პატარა,
ლამაზად მოყვავილემ მცენარეები,

გემოვნებით შერჩეული ღია-მოყავისფრო
მაგიდები და სკამები,

აბსტრაქტული ქანდაკება — კლასიკურ,
პატარა სვეტისმაგვარ საყრდენზე,

თუნდაც, აი, ის სრულიად მშვენიერი
გოგო, ოქროსფერი ბოტასები რომ აცვია
და ჯინსიც ისეთი შეურჩევია, გვერდზე
ოქროსფერი ზოლივით ორნამენტი რომ
გასდევს, თუმცა გემოვნებიანად —
ბრჭყვიალის გარეშე,

ან — ეს ჩუმი ლათინური ჯაზი, ქალის
ოდნავ მელანქოლიური სოლოთი,
რომლის სმენისას დედაჩემი გამახსენდა
რატომღაც...

აქ ბევრი რამეა პოეტური...
ლექსი კი მაინც არ მოდის.

გარდამავალი ასაკი...
რომელი?..

პირველი:
„არის სიყრმეს და სიმწიფეს შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი“.

მეორე (თუ მიაღწიე მეორემდე):
„სიმწიფესა და სიბერეს შორის
დგება შფოთვის თუ ძიების ჟამი“.

მესამე (თუ მიაღწიე მესამემდე):
„სიბერესა და არყოფნას შორის
სინანულის და შიშის ჟამია“.

ისე კი,
კაცი სულ გარდამავალ ასაკში არ ხარ?
სულ გარდადიხარ, სულ იცვლი ფერს —
თავი იგივე გგონია, თუმცა
დღეს ის აღარ ხარ, რაც იყავ გუშინ,
ხვალ ის აღარ ხარ, რაც იყავ დღეს,

ანუ
შენ თავზე დიდი წარმოდგენა კი გაქვს,
მაგრამ
დიდად არ განსხვავდები სხვა ყველაფრისგან

და
სარკემ და ფოტომ
შენზე
უკეთ
იციან
ეს.

თუ

არავინ
არავის
იცნობს?

რა საჭიროა სიტყვები? —
არ მჯერა,
აღარ ვენდობი
ხმამალა წარმოთქმულ სიტყვებს,
არც ფესტს ენერგიულს,
არც ბეჯით ნაბიჯს.

არ ვიცი, რა მჭირს.

არა, ვიცი — სიბერე.

და
ამ წყნარი ღამით შევეყურებ ვერხვებს
პატარა, მოჩუხჩუხებ ბორჯომულას პირას
და მგონი,
უკვე ხეებისა უკეთ მესმის,
ვიდრე — ადამიანებისა...

რა დამსახურებისთვის ასვენებენ
ამ ქალბატონს სიონიდან?..
უთუოდ — შვილმა, ეკლესიის უფროსობასთან
დაახლოებულმა პირმა, ჩაანყო საქმე...

აგვისტოს კარგი საღამოა
უბერავს ნიავი
გამველელი ცოტაა
ავტომობილიც ნაკლებია

მისეირნობ ნელა, სვენებ-სვენებით,
რადგან ჩქარა ან შეუსვენებლივ —
აღარ შემიძლია: გული მანუხებს
და კიდევ ბევრი სხვაც...

გაგჩერდი
ოდნავ შევეხვიე
და ჩამოვფექი პატარა სკვერში
გურამიშვილის სიმარტოვესთან

და შემომესმა:
მოთმინება
გაქცევს
ადამიანად

არ ვიცი — ეგებ ასეა,
ეგებ არც არის ასე

და
რა კარგია
რა სიმყუდროვეა
ამ საღამოს
ამ პატარა სკვერში
გურამიშვილის სიმარტოვესთან

დიდ მიზნებს ნუ დაისახავ
ხომ შეიძლება
ხვალინდელი დღე
არ გაგიტენდეს

დაისახე დიდი მიზნები
ხომ შეიძლება
ხვალინდელი დღე
გაგიტენდეს

რა ადვილია —
გიყვარდეს დედა,
მამა,
და-ძმა,
შვილი,
შვილიშვილი...
და რა ძნელია —
გიყვარდეს ადამიანი.

ამათგან რომელია გრამატიკულად
გამართული:

არავინ
არავის
არ იცნობს

ამაზე ფიქრს დიდ დროს არ დავუთმობ —
წვრილმანია.
მსხვილმანი კი ისაა, რომ ადრე დავბერდი:
ჯერ 62-ის ვარ და ზოგს 70-ის ვგონივარ...

არა, ესეც წვრილმანია.
ნამდვილი მსხვილმანი კი ისაა, რომ დავბერდი
და ამ ცხოვრებისა ბევრი ვერაფერი გავიგე:
რალაც პასუხები კი მაქვს, მაგრამ —
არც ერთი, რასაც ფეისბუქის
კომენტარებში დავუწერდი — „100%“...

და ასე, მთლად-ვერ-დარწმუნებული
ვმოძრაობ ფინიშისაკენ:
რალაცის შეცვლა მინდა, მაგრამ მეზარება,
თან საზოგადოება ფიქრობს, რომ ბებერმა
ჩემ თავზე აღარ უნდა ვიფიქრო და ჩემი
დარწმენილი ცხოვრება მივუძღვნა სხვებს:
ვითომც — ვარ,
მაგრამ ვითომც აღარა ვარ...

კომუნისტების ლოზუნგს ჰგავს ეს,
რუსული ფილმიც იყო იმ დროს სათაურით:
„ყველაფერი რჩება ხალხს!“

მოკლედ — სიცოცხლის ბოლოსკენ
კომუნისტი ვხდები...

ღამის თერთმეტის ნახევარზე,
ბაქოს ცენტრში, შადრევნების მოედანზე —

დიზაინი ახალია
მაგრამ მაინც
ლამპიონების ოდნავ დაბინდული
შუქი პატარა სკვერში
ძველებურად
მელანქოლიურია

რა ახლობელია
„კრაოტების“ ნაწილები — ღობეში:
ძველი, ჟანგმოღებული „სეტკები“,
საყრდენი ზურგები,
ოდესღაც მონიკელებული,
ან ფირუზისფრად შეღებილი...

მათგან, ვინც თავის დროს
შეიძინა ეს კრაოტები,
ცოცხალი ალბათ აღარავინაა,
ვეღარც კრაოტები კრაოტობენ,
მაგრამ რალაცით მაინც
ემველებიან ახალ თაობას...

რა მშვენივრად აგრილდა

და დავსეირნობ ივლისის ღამით
ჩემი 100-ბინიანი კორპუსის ახლოს
სკვერში

რა მშვენივრად აგრილდა

სხვებიც დასეირნობენ,
უფრო — ძალღების ხათრით,
ლაბრადორის, ჰასკის, პუდელის,
სულ პატარა, მსუქანი ძალღუნების,
ძლივს რომ დაბაჯბაჯებენ...

რა მშვენივრად აგრილდა

მე კი კატა მყავს — „თუნჩიკა“ —
ჩემმა ქალიშვილმა ეზოდან საცოდავი
კნუტი რომ ამოიყვანა — ის თუნჩიკა —
გასუქებული, მოალერსე და მშიშარა —
ერთი წლის გახდა, მაგრამ ცხვირს გარეთ
ისევ ვერ ყოფს — უცხო ხმები აშინებს...

რა მშვენივრად აგრილდა

რა ვუყვით — ასეთები ვართ:
ზაფხულში სიგრილე გვიყვარს,
ზამთარში — სითბო...

ესე იგი
ზაფხული და ზამთარი მაინცდამაინც
არ გვიყვარს...

მაშასადამე
გაზაფხულის და შემოდგომის
ხალხი ვართ...

რა მშვენივრად აგრილდა

ისევ გამოჩნდა ქუჩებში საფოსტო ყუთი
ისევ ლურჯი
ოლონდ ნაცრისფრით
უფრო დიდი ზომის
უფრო მკვეთრი კუთხეებით
რომელიც ძველებურად კედელზე
კი არ არის მიმაგრებული —
ტროტუარზე დგას

მინდა წერილი მივწერო ვინმეს
მინდა წერილი მივწერო ვინმეს
მინდა წერილი მივწერო ვინმეს

ნამდვილი წერილი
ელ. ფოსტის მესიჯი კი არა
და არც ფეისბუქის შეტყობინება
ნამდვილი წერილი
ქალაქის ფურცელზე ხელით დაწერილი
წერილი

მინდა დანვრილებით აღვწერო
ჩემი გრძობები და განცდები
დღევანდელი გრძობები და განცდები
ხანშიშესულის გრძობები და განცდები
სულ სხვა კაცის გრძობები და განცდები
დანვრილებით აღვწერო
გულწრფელად აღვწერო
გული გადავუშალო ვინმეს

თუნდაც საკუთარ ცოლს
ანდა შვილებს

ხანშიშესულებს სიამოვნებთ
ზაფხულში,
სალამოს,
მზის ჩასვლის შემდეგ,
ცოტა რომ აგრილდება —
გარეთ ნელი ნაბიჯით სეირნობა
და
ჯიბეში ხურდის ჩუმი ჩხრიალი...

იმერელ მეგობარს

ეჰ, რა კობტად სწევდი „სტაქანს“,
როგორ კულტურულად სცლიდი!..
თავს შეხედე — ახლა რა ხარ,
ერთი, კარგად დააკვირდი:
სახე ნაოჭებად იქცა,
ვერ იოკებ ხელის კანკალს,
თითქოს უკვე გიხმობს მინა,
თითქოს უკვე აქ აღარ ხარ...
თითქოს... მაგრამ აქ ხარ ჯერაც,
ჯერ არა ხარ წარსულ დროში...
გიხარია, ძმაცაც ჟორას
რომ მოუგებ დომინოში...



ციკლიდან: დია სასახლელი: წერილები ელი გორდლიანს გულანშაროდან პარიზში

ცხოვრება გასაწყინარდა,
ჩვენწარის კოშკებს არ უგებს,
სხვას წყალობს, სხვისთვის ირჯება,
ჩვენ გვატყმევინებს აუგებს.
ქვეყანა ესე შარია, პატარა გულანშაროა,
მერე რა, ზურმუხტ-ფირუზი ხმელეთია და ცა როა,
ბედისწერის გულს ვერავინ ვერ ალბობს, ცივი ქვა როა,
ზოგისთვის არის ზეიმი, ზოგისთვის სამწუხაროა,
ფატმანისთვის რომ დედაა,
ნესტანის ცრემლის წყაროა,
ნატერისთვალა ვილაცის, სხვისთვის დილეგი, ხაროა,
ვაჭარ-მევახშის არენა კოლაელ ყრმათა კალოა,
სიცოცხლე ძვირზე ძვირია, სიკვდილი უანგაროა...
ქვეყანა ესე შარია, პატარა გულანშაროა...

ჩვენი ქვეყნის მომავალი იყო თემა საუბრისა,
კაცი იდგა, — ხომ არ არი, — ვთქვი, —
იოსებ, ძმა უფლისა.
თურმე იყო სოფლის მწყემსი,
ბატკანს ცვლიდა დამბალ ქერზე,
მას შეეძლო, უკეთესი გაეცვალა არაფერზე.

მზეში ჩანსულ ღრუბლებიდან
დაეცვარათ ნუშებს ორთქლი,
სანთელივით დადნა სულში ლოცვა,
უფლისათვის რომ ვთქვი,
ახლა ისე ლადადა ვარ,
თითქოს ცოლი ვიყო ხონთქრის,
ანდა საყდრის ნაძვი ვიყო,
დრო და ჟამი რომ ვერ მოთხრის,
მაგრამ სმენას არ ასვენებს ხმა შორიდან,
ქალის მოთქმის...

ფიქრობს დეა: რა იქნება, რამე უნდა შეიცვალოს,
სანთლის მკრთალი ალი ქრება,
— „არაფერი არ იცვლება,
არ ღირს თავი გაინვალოს,“ —
იტყვის ქარი, ქარაშოტი: „ცოცხლობს,
ბედი მაინც წყალობს!..“

მდოგვის მარცვალს თესავს დეა,
ფიქრობს: იქნებ ამოვიდეს,
ქარიანი ცივი დღეა, მზე არის და ყინავს კიდეც,
ვერაფერი გაუგია, — რა მისცეს, რა გაუყიდეს,
კარგი რამ რომ სჭირდეს, ჰოდა,
ცუდი როგორ გაუკვირდეს...

ვსაუბრობთ და ცაში მიჰქრის,
აქ არ რჩება ერთი ბგერაც,
ცხადი ილუზიას გვიქმნის, გული უჩვეულოდ ღელავს,
ხელად ქრება, რაც გვინდა და,
რაც არ გვინდა, ჩნდება ხელად,
„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა
არ ამოჰკრეფს კიტრად, ბერად“,
უფლისაკენ ქარს გავეყვები,
გელათთან რომ დაუბერავს...

ძველ მისამართებს ვკითხულობ,
გადაშლილები რომ არი,
ჩუმად გაფრინდა ეს წელიც, წყალმა წამართვა ბორანი,
ფრენენ მტრედნი და აქვეა ბებერი შავი ყორანიც,
„ვერა ვცნენ ჟამის ამბავნი, ვერცა დრამისა წონანი“...

სიცოცხლისას ვიტყვი თუთა,
სიკვდილის წილ ვქარგავ ტილოს,
გულანშაროს გაზაფხულსა,
ლექსს, სიმღერას, ანბანს, კილოს,
გამოვგზავნი შენთან, ელი, იქნება მანდ დაინწყვილო,
აქაური ყოფა ბნელი მანდაურით გაიბრწყინო...

მკითხავს შატლის ნიავი: „ვინ ხარო, ვისი გორისა“,
ცაში არწივებს ვუყურებ, აქვე მცემს ჩრდილი ქორისა,
ვგრძნობ ლეთის წყალის დინებას
მთებსა და ხევებს შორისა,
წუთისოფელი ომია ორის, — გულის და გონისა...

მესმა მოსვლა გაზაფხულის, ყვავილებით ჩამოზურვა,
ქარიც გახდა აზარტული — გადაფანტა არეს ურვა,
დარდი მაინც შემომიძვრა, განშორება არ ისურვა,
ტიკვილს თავი დაუარა მოთმინებამ დიაცურმა, —
ნავი ვერაგ წუთისოფლის წყნარ ნაპირთან მიაცურვა...

კევრი გულზე გადამივლის,
მერე დარდებს ჩემსას ცეხვავს,
დამაინწყებს ადამიანს, ნელა გულსაც გამიტეხავს,
ხმა გაკმინდა როცა მეხმაც, როგორ ამოვილო მე ხმა,
გვალვამ ბალი გადარია, შავქლიავი ტოტზე შეხმა,
ვისაც უთქვამს, მართალია:
გულს ხრავს ჟამი, მაგრამ ვერ ხრავს...

მოკეცილა ხუთად თუთა,
ქარი ანგრევს კლდეს და გორებს,
გავექცევი სულთამხუთავს,
გამოსავალს ვნახავ, თორემ...
ყველაფერი მიმაქვს სულთან,
ვილაცა ძველ გრამაფონებს
უკრავს და ჟამს აქცევს წუთად,
იმნაირად ამათროლებს,
სხეულს ეკლით გამონურთნავს,
მეცხრე ცასთან გამატოლებს...

ხეებს ვუმზერ, რა ქარია! მთვარეც არ ჩანს რა ხანია,
გადამჭენარა მარწყვის მდელი, ნაყანარში მავყალია,
საყვარელი კაციც არ ჩანს, იმედს ყავლი გაყვანია...

სიყვარულმა მიკარნახა ასი თერგით მთვრალი ლექსი,
მზის გულივით მხურვალე და
მზის სხივივით უსწრაფესი,
მოგართვი და შემეშინდა, უფსკრულებით გავიქეცი,
რამდენჯერაც წამოვდექი, იმდენჯერვე წავიქეცი...

მაისის ტყე ჩრდილებს არჩევს,
აჩენს ხაზებს წვერო ალვის,
სიმძიმის ერდო დაფხვე, სიხარულის გავხსენ კარი,
ციდან ღმერთი იყურება, იტრუნება სული ქალის,
იხსნება და იხურება ჩახლართული კალთა კარვის...

მზე გაზავდა ნისლში, ქარში, ქალაქმაც მზე გადაიცვა,
ემბაკი რომ იყო, წამში ანგელოზად გადაიქცა,
სხივმა, როგორც თოთო ბავშვმა, გაიცინა და გაიქცა,
სახლს მერცხალი დაუბრუნდა
და ქვეყანაც არ დაიქცა...



* 150-რჩეულიანი პარლამენტი რა არის და მილიონიანი ფეისბუქი რაღა უნდა იყოს.

მერე რა, რომ ამ მილიონს თავი იმ 150-ზე უკეთესი ჰგონია.

ჰო, კაი — ნაწილს — არც თუ უსაფუძვლოდ.

* ძალიან ადვილი ყოფილა ფეისბუქზე დაბლოკვა. მიჩვევაც სცოდნია. თან პატარა ღმერთივითაც ხარ: ნკააპ!..

* წარმოიდგინე, ღმერთს რამხელა ფეისბუქი აქვს. რამდენი ფრენდი — რამდენი ვითომმეგობარი ჰყავს. რამდენს ხედავს. რა დღეშია. საწყალი.

* ფოტოები, რომლებზეც მწვადებს (დიახ, ბევრ მწვადს) წვავენ, უხვად ლაიქდება.

ფოტოებს, რომლებზეც ცხვარს (ბევრს) კლავენ, ძირითადად ცრემლიანი და გაბზარებული სმაილები ახლავს.

* სევედიანი რამაა ფეისბუქი. კიდევ უფრო სევედიანობას მისი უსტილობა, ეკლექტიზმობა, უთავბოლო სიჭრელე და მისთანები უშლის ხელს. მთელი ჩვენი ცხოვრების პანოკია. აქ არის ყველაფერი: დაბადება, დროის მდინარეობა, გაზრდა, დაბერება, ასაკის მალვა, კარგი და ცუდი მაკიაჟი, სხვა ტიპის კორექცია... და, რა თქმა უნდა, სიკვდილი.

მოკლედ, ესეც გვიჩვენებს, რომ ცხოვრება ბევრი არაფერია. და თუ სრულიად სევდა არ არის, ეგეც ამ აჭყაბაჭყა ფერების ბრაღია.

* სიბერეში ერთი სიამოვნება იქნება ფეისბუქის გაცრეცილი და გაყვითლებული ჩატის გადაკითხვა...

* თურმე სამოთხეში შვებულება არ მთავრდება...

* ისე გავზარმაცდი, მუშაობაც კი მეზარება.

* ხელფასის ჩარიცხვის დღეს უკვე შეგიძლია მთელი გულით ინატრო, რომ დრო გაჩერდეს.

ან — ხელფასის გამოღვევის დღეს. გააჩნია, საიდან შეხედავ.

* ეს ორი ახალი წელი კიდევ ისეთი გომობა მგონია, ამის აღნიშვნას ბოდიშიც რომ არ უნდა წაუძღვარო-მოაყოლო. გილოცავთ!

* ეს რა ლხინი გვჭირს?!

* სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ დედა-ბებოთაგან: საცივი, ჩურჩხელა, გოზინაყი.

* ნეტავი თქვენ, ვისაც საქვეყნო თუ საკაცობრიო პრობლემები იმ 9 წლის, ამ 9 წლის, რომელიმე სხვა 9 წლის, ანუ ისეთი პრობლემები გგონიათ, რომელთა მოგვარება 9 წელიწადში შეიძლება. ნეტავი თქვენ.

* შენ ამ ქვეყანას ღარიბი უძახე და თურმე იმდენი ზედმეტი დოვლათი (როგორც იტყვიან) აქვს, პრეზიდენტის არჩევნების ორ ტურს თვალდაუხამხამებლად ჩაატარებს.


მერე რა, თუ ამ დოვლათის უკეთ განაწილების შემთხვევაში, ყველა გაცხილებით კარგად ვიქნებოდით.

ნუ, ბედნიერების რა მოგახსენო.

* ნეტავ, სწორად შეფასება უფრო ძნელია, თუ სათანადოდ დაფასება? მეც ალ-

ბათ მხოლოდ აგვისტოს დღეებში მახსენდება ხოლმე ეს კაცი და ამბავი:

„დემეტრე II, როგორც ბუღას მეგობარი, ყაენმა დაიბარა. მეფემ დარბაზი (სამეფო საბჭო) მოიწვია, რომელმაც ურჩია ურდოში არ წასულიყო და მთებში გახიზნულიყო. დემეტრე II დარბაზს არ დაეთანხმა იმ მოტივით, რომ ურდოში წაუსვლელობას მონდოლების მიერ უბრალო ხალხის გაჟღებვა და ქვეყნის აოხრება მოჰყვებოდა... მეფე დემეტრე II-ს ყაენის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს“ (ვიკიპედია).



* ასეთი იგავია: ერთი გემით ორი მტერი (ურთიერთმტერი) მგზავრობს. პირველის კაიუტა კიჩოსთანაა, მეორისა — ქიმთან. ერთხელაც, პირველს აცნობებენ — გემი იძირება და ვერ გადადარჩებითო. ის კითხულობს — ჯერ კიჩო ჩაიძირება თუ ქიმო? ქიმო. მაშინ არა უშავსო.

ეს იგავი კაცს ჩვენს დღევანდელობას გაახსენებდა, მის გმირებს თვითონ რომ ეჩალიჩათ იმ გემის ჩაძირვა; მაგრამ ისინი ასე გამოშტერებულები ან/და ასეთი ნაძირლებიც არ ყოფილან.

* ძალღმან გვენახოს — პირი გვეკიდოს.

* პარლამენტისწინა ადგილი დღიურად რომ გაქირავდეს? ცენტრია, მსურველი სულ არის, ბიუჯეტს წაემატება, მაგათგანაც რამე ხეირი იქნება, მუშაობა მაინც ყველას გვეზარება, და ასე...

* სააქციო საზოგადოება.

* გააგრძელე საქართველოს ისტერია.

* ერთი სიტყვა აღარ მჯერა საქართველოს ისტორიიდან.

აგერ, ათას სისაძაგლეს შევყურებ თვალბში და მიმტკიცებენ, მაგარი რამეაო.

* კაფკა დანერდა რამეს. არა, დღეს კი აქციაზე იქნებოდა, მაგრამ ხო მივიდოდა სახლში.

* მგონი, დროა, ჩვეულებრივ გომობად გამოვაცხადოთ უპირობო მხარდაჭერა ერთი რომელიმე პოლიტიკური სუბიექტისა, მისი ნებისმიერი განცხადების, საქციელის, ფიქრის, გამომეტყველების და ა. შ. შემთხვევაში — გარდა იმ ვითარებისა, თუ ეს უპირობო მხარდაჭერი ამ სუბიექტის

* თუ როდისმე მომიწოდებია ბრმა პოლიტიკურ მხარდაჭერებს მოგეშვათ და აზროვნებაზე გადავიდეთ-მეთქი, იცოდეთ, რომ გადავიფიქრე. ის უნდა აკეთო, რაც გამოგდის. კაც-მაც და ერმაც.

* პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებააო — ამბობდა ხოლმე ერთი ჩვენური პოლიტიკოსი (უფრო სავარაუდოა, რომ პირველი არ იყო, ვისაც ეს უთქვამს).

პოლიტიკა კი არა, ცხოვრებაც ეგ არის.

* ლარს უთხრეს — ბანკი მამკვდარა. მან ნავარდი ქნა, გაიქცა.

* ადამიანები მხოლოდ იმიტომ კვდებიან, რომ ექიმებმა თავის დროზე სიკვდილის ახლანდელი მიზეზი ვერ უპოვეს? და მხოლოდ იმიტომ არ კვდებიან, რომ ექიმებმა ახლანდელი სიკვდილის მიზეზი უპოვეს თავის დროზე? როგორ არის ეგ? რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს და ყველა სიკვდილს არ ეხება ეს ამბები და კითხვები, რომლებიც — ვალიართ — არც ისე ჭკვიანური ჩანს — განსაკუთრებით, ერთი შეხედვით.

* პანაშვიდზე ჭირსუფლისთვის მისამძიმრებისას თავში ეს ფრაზაც მომსვლია და მითქვამს კიდევ: „ყველა მოგვევებით“. უჰ, ეგრევე მოგვევება გულზე. ცინიზმია, რა.

* სიცოცხლე ავტომატურად ნიშნავს სიკვდილს, მას ეფუძნება.

იმას არ გვულისხმობ, რომ ყველა ცოცხალი კვდება. იმას ვამბობ, რომ ცოცხალთა უმრავლესობა იმიტომ არის ცოცხალი, რომ სხვა ცოცხალს ჭამს. კლავს, შესაბამისად.

* ნლების მეტასტაზებს რაღა უშველის...

* სიკვდილი არაფერსაც არ დაალაგებს. უბრალოდ, ყველაფერი ფეხებზე გეკიდება.

ფსიქოლოგიური მომენტია, რა.

* სიკვდილის მერე ცხოვრება დიდი იმედია — ერთი შეხედვით. ანუ თითქოს ურწმუნოთა სიკვდილი გაცილებით უფრო მძიმეა — არაფრად ქცევის პერსპექტივაზე ვერ იტყვი, სახარბიელოაო. მაგრამ მეორე მხრივ, რამხელა განსაცდელია ღვთის სამსჯავრო! და რამხელა შეღავათია, რომ სიცოცხლის (ანუ სიკვდილის) შემდეგ არაფერი მოგეკითხება!

იქნებ ესეც იწვევს „მორწმუნეთა“ აგრესიულობას — გამუდმებით ვილაცას (ვთქვათ, ღმერთს) უმტკიცებენ, რომ სხვებზე უკეთესები არიან...

(რა თქმა უნდა, ამ „თეორიას“ ვერ გავავრცელებთ ცნობილ აღმოსავლურ რელიგიებზე, რომლებიც ადამიანის მთავარ მიზნად სიცოცხლის მარადიული წრებრუნვის ტანჯვიდან თავდაღწევას და საბოლოო სიკვდილს, არააზობად ქცევას სახავენ).

* სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის ვარიანტი — არის თუ არა სიმშვიდის საფუძველი? ოღონდ ვარიანტი იმ სიცოცხლისა, რომელშიც წინა სიცოცხლე არ გვემახსოვრება.

თუ არ გახსოვს, რა მნიშვნელობა აქვს წინა სიცოცხლეს ან სიცოცხლეს? ასე, დაუშვი, რომ ადრეც ცხოვრობდი — ასჯერ, ათასჯერ. მერე რა? ახლა ხომ სულ ერთია, რამდენჯერ ცხოვრობდი ადრე და საერთოდ, ცხოვრობდი თუ არა. ვერ-დამახსოვრებული სიცოცხლის შემდეგ სიცოცხლე — ეს ხომ ახალი სიცოცხლეა, სხვა სიცოცხლე. წინა სიცოცხლე ამ შემთხვევაშიც კვდება და იმ შემთხვევაშიც, თუ სიკვდილის შემდეგ აღარაფერი არსებობს.

ანუ გამოდის, სულ ერთია, როცა კვდები, სულ კვდები თუ მერე ხელახლა იბადები. მაშ, რა განაპირობებს სიცოცხლის გაგრძელებას? ხსოვნა წინა სიცოცხლისა. რაც, რაღა თქმა უნდა, უბრალოდ ხსოვნას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ შენ იგივე ადამიანი ხარ, წინა სიცოცხლე შენი წარსულია, შენი წინაწილი. კი მაგრამ რა ასეთი ფასეულობაა ეს ხსოვნა, ეს შენი წარსული, რომ ვერ შეეღობა? განა იშვიათად გვაქვს სურვილი, რომ ეს ჩვენი წარსული მხრებიდან მოვიხსნათ, გადასაკარგავში მოვიხსროლოთ, „თავიდან დავიბადოთ“?..

საბოლოოდ რა გამოდის? ალბათ ის, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ერთი სიცოცხლის დასრულების შემდეგ მეორე სიცოცხლე იწყება თუ არა. ამ სივრცეში (თუ სიბრტყეში) სიკვდილი და სიცოცხლე თანაბარია.

ეს თავგანწირულ წინაპართა ხსოვნაც კი საჭოჭმანო რამეა. მგონი, ძირითადად, იმისთვის არის მოგონილი, მომავალ თაობას რომ უსაყვედურო — იმან ესა და ეს გააკეთა და შენ არ გახსოვს?! არ იცი, ვინ არისო?!

შენ თუ გახსოვს — ხომ რას ამბობ! თავის განივს სერიოზული კომპენსაცია! თუ ფიქრობ, რომ კომპენსაციაა, ეგ ცალკე პრობლემაა — ის შეენირა და შენ გახსოვს — რა გენაღვლება! ხოლო თუ მანინცდამანინც მონაღვლე ტიპი ხარ, იმის გამო გქენჯნის სინდისი, შენც ისეა რომ გახსოვს და ეგ ხსოვნა თავგანწირვის კომპენსაცია არ არის...

მოკლედ, ჩემნაირი კაცი არ მოიწყენს — ყველგან იპოვის დისპარმონიასა და სადარდებელს...

მე მანინც მგონია, რომ გენიოსებისა და დანარჩენების შობათა თანაფარდობა, სხვა მსგავს მოვლენათა დარად, გადარჩენის ალბათობის მაჩვენებელს ითვალისწინებს. მაგალითად, ზოგი არსება იმაზე გაცილებით (მილიონებით) მეტ კვერცხს დებს, ვიდრე ამ კვერცხების განვითარების და შემდგომში ნაშიერთა გადარჩენის შანსი არსებობს; ადამიანების პოპულაცია ბადებს მეტ მამრს, ვიდრე მდედრს — ბალანსის შესანარჩუნებლად — ითვალისწინებს რა მამრების დალუპვის მეტ ალბათობას...

ჰოდა, ვფიქრობ, გენიოსიც მეტი იბადება, ვიდრე საუკუნეში ერთია (თუ როგორც არის), მაგრამ გაცილებით ნაკლებია მათი გადარჩენის, გნებავთ, „გენიოსად გადარჩენის“, ანუ გენიოსად გამოყოფილების შესაძლებლობა.

თუ, რა თქმა უნდა, არ მივიჩნევთ, რომ ჭეშმარიტ გენიოსს ეს გადარჩენა-გამოყოფილება მოეთხოვება.

რაც უნდა ცუდად ჟღერდეს, ჭკვიანი და კარგი ადამიანი ბოლმის წნეხისთვის არის განწირული. მას ხომ წარამარა სტკენენ გულს.

ის სხვაა — ყველაფრის მიუხედავად მხიარული, გადამდებდა ხალისიანი ადამიანი, „ადამიანიპოზიტივი“. მაგას ცოტა ჭკუამხიარულობა სჭირდება.

იმედია, ადამიანთა შორის საუკეთესოებს არ ვიცნობ. ისიც კარგი იქნებოდა, ახლა მართალს ვამბობდე. ამის იმედი მაინც მქონდეს.

ადამიანებს ვედარ ვხვდები. შეიძლება ეს ჩემი სურვილითაც ხდება. თავდაცვის მეთოდია ასეთი. ანუ ვხვდები მხოლოდ გარკვეული მიზნით განწყობილ ადამიანებს, გარემოებებისგან ჩამოყალიბებულ ადამიანებს და ა. შ. და შესაძლოა, მეც მიინდა, მხოლოდ ასეთებს შევხვდე, მხოლოდ ეს დავინახო მათში. თითქოს ისინი არ არიან ასეთები ან ისეთები, არ არიან ისეთები, როგორებიც უნდა იყვნენ. ან მე აღარ მაინტერესებს ეს, თითქოს მთელი ჩემი გამოცდილება მეუბნება, რომ ეს სულ ერთია, აზრი არა აქვს, არაფერი ღირს, იმედგაცრუების მორიგი წყაროა.

ჰო, მე ხომ ვიცი, რომ ისინი ისეთები სულაც არ არიან, როგორებიც არიან...

ზოგჯერ მართლა ვერ ვხვდები, საიდან მახსოვს კეთილშობილი ადამიანები; უფრო სწორად, კეთილშობილური თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ადამიანებს ჰქონდათ; ან ასე — კეთილშობილი თვისებების ადამიანებში არსებობის შესაძლებლობა. ნუთუ მხოლოდ წიგნებიდან? მშობლების შეგონებებიდან? მასწავლებლების დარიგებებიდან?

რა მაინტერესებს: სინდისი უფრო როგორი მოვლენაა — ატავისტური თუ რუდიმენტული?

სინდისის ქენჯნა ძალიან იშვიათი ცხოველია. ღამით გამოღვიძების შიგანში რომ ყელყელოვს, ეგ შიშს უფრო ჰგავს.

კარგად სძინავთ ჯანმრთელებს, უცოდველებს და უსინდისოებს.

მგონი, სიმართლე კიდევ უფრო ობიექტურად ხდება კიდევ უფრო გამოუსადეგარი. არსებობენ მხარეები და ეს საკმარისია. დემოკრატიაც მხარეების არსებობის უფლების აღიარებაა. ვინც გაიმარჯვებს, ის იქნება გამარჯვებული. ბოლოს — მართალიც. მესამე (თუ მერამდენიც) — სიმართლე — ზედმეტი.

უფრო მკაცრადაც შეიძლება: ის დრო მიდის, როცა სიმართლე არავის უნდა. ის დრო მოდის, როცა სიმართლე, უბრალოდ, აღარ არსებობს.

აშკარაა, რომ როგორც „პოლიტიკორექტულობამ“ უკვე მიგვიყვანა თავის წილ მარაზმამდე, დემოკრატიაც თავისი — უფრო დიდი წილი მარაზმისკენ მიგვერეკება. პარადოქსი უძახე შენ და, ტოტალური „შეჯიბრებითობის პრინციპი“ სიმართლის არსებობისთვის შეუსაბამო პირობებს ქმნის. სიმართლე განწირულია შეჯიბრში, რომელშიც გამარჯვებისთვის საჭირო ბერკეტები იმარჯვებენ. ის განწირულია მაშინაც კი, როცა იმარჯვებს — რაკი ამ დროსაც, სიმართლე კი არა, გამარჯვებისთვის საჭირო ბერკეტების სიმძლავრე თუ სიმრავლე იმარჯვებს და სიმართლე, უბრალოდ, ემთხვევა მას...

ჰო, ოღონდ რამე არ იფიქროთ — ჯერ ისევ დემოკრატად ვრჩები.

მართლაც, ადრე, ბავშვობაში ვინ წარმოიდგენდა სიმართლის ასეთ გასაჭირს. აი, მთლად ორჯერ ორის ოთხობა არა, მაგრამ ექვსჯერ ცხრა რომ ორმოცდათოთხმეტია, მალე ამისი დამტკიცებაც შეუძლებელი გახდება.

ბავშვობაში მორწმუნე და ცრუმორწმუნე ერთი და იგივე მეგონა. რაღაც-რაღაცებს ბავშვობიდან სწორად ვაფასებ.

საგულისხმო ფრაზაა — მისი ხშირი გამოყენების გამოც — „რელიგია მიკრძალავს“.

რელიგიას, მგონი, ყოველთვის დიდწილად ჰქონდა და აქვს ეს ფუნქცია — რამე აუკრძალოს. თან, ვერც იტყვი — უცნაური — რაკი ასეა. არადა, თითქოს თავის დასახმარებლად უნდა გამოეგონებინა ადამიანს რელიგია.

არა, განა გამოვირცხავ, რომ შეიძლება აკრძალვაც დახმარება იყოს...

განა ცოტაა, ადამიანის, ადამიანის გონის, სხვა არსებების და არაარსებების არსებობა რომ მჯერა? რომ მჯერა, რომ ის დედამინა, სადაც ეს ყველა არსება და არაარსება ვცხოვრობთ თუ ვმდებარეობთ, უსასრულო სივრცეშია გამოკიდებული და თავისი ღერძისა და სხვა ციური სხეულების მიმართ გამუდმებით მოძრაობს? და კიდევ მრავალი ასეთი სასწაული რომ მჯერა, ცოტაა? ჰო, მე სასწაულები მჯერა. არ მჯერა პანანინა უბადრუკი ტყუილები, რომლებსაც ადამი-

ანები და რელიგიები იგონებენ — სხვადასხვა — კეთილი თუ ბოროტი მიზეზითა და მიზნით.

დავიჯერო, ასე არავის უთქვამს? — დავიღალე, წადი ჩემგან უფალო.

იქნებ ყველა პრობლემის სათავე სიცოცხლის აზრის ძიებაა; ანუ იმედი, რომ ის არსებობს; და კიდევ სხვა იმედები; მაგალითად, იმის იმედი, რომ ყველა პრობლემის სათავე ეს არ არის.

ბოლოს იმედი კი არა, იმედგაცრუება კვდება.

ეგენი უერთმანეთოდ დიდხანს ვერ ძლებენ, ვერც — ცოცხლები, ვერც — მკვდრები.

სულ რის სწავლას ვასწრებთ სიცოცხლეში და კიდევ ერთი იმდენი რომ ვიცოცხლოთ, ვნახავთ, რომ რაც გვისწავლია, იმისი უდიდესი ნაწილი ტყუილია.

ვინ იცის, ეს ყველაფერი მოცდენაა. ვინ იცის, რაღაც ძალიან მნიშვნელოვნის გაკეთება, მოსწრება შეიძლება, ჩვენ კი ვცხოვრობთ.

თუმცა პირიქითაც შეიძლება: რაღაცის გაკეთებას, მოსწრებას ვცდილობთ — იმის ნაცვლად, რომ ვიცხოვროთ.

ხომ არის უამრავი თამაში. სცდი ერთს, არ მოგწონება, თავს დაანებებ, სხვას

სცდი. ზოგს წინასწარ შეატყობ, რომ არ მოგწონს და არც სცდი. შოკლედ, იმ თამაშებს ირჩევ, რომლებიც მოგწონს და იმ დოზით თამაშობ, რამდენითაც მოგწონს და რამდენის საშუალებაც გეძლევა...

დაარქვი ცხოვრებასაც თამაში — არაფერი იცვლება. მისი უბედურება მაინც ის არის, რომ ერთადერთია (ამ ვერსიით — ერთადერთი თამაშია) და ალტერნატივა არ გააჩნია.

არ მოგწონს კი არა, ვერაფრით ეგუები, მაგრამ სხვა გზა არ გაქვს: ან ძალით, ტანჯვით უნდა ითამაშო (დამარცხებებზე ლაპარაკი აღარ არის — იგულისხმება), ან უნდა გაცვალო მოედანს და ტრიბუნის ყველაზე შორეულ კუთხეში მიიკუნჭო, საიდანაც ყველაზე ცუდად ჩანს, რაც მოედანზე ხდება.

(თვითმკვლევლობას გამოსავლად არ განვიხილავ).

„თუ გინდა, იყო ბედნიერი, იყავი“ — დავუშვათ, არის ამ მოკლე და სხარტ გამონათქვამში იმდენი სიმართლე, რამდენიც აფორიზმს მინიმალურად მოეთხოვება. ის ხომ მაინც უფრო ადვილია, უბედური იყო, თუნდაც ეს არ გინდოდეს?

ნუ გჯერა შეთქმულების თეორიების, ნუ ფიქრობ, რომ ყველა შენ წინააღმდეგ შეთქმულა — ადამიანებს შენზე მეტად ერთმანეთიც არ უყვართ.

ყველაფერს აიტანდა კაცი, ყველაფერი წარსულში ან/და მომავალში რომ ხდე-ბოდეს.





ზაალ ებანოძე

ჩიტო, კარგი ამბავი!

თანდათანობით ებეგრება სიგრილე ნიავეს და ფეხაკრეფით მოიწევს ბინდი;

„ფრინველნი მფრინველნი ქვეყანასა ზედა“, „ცხოველნი წყლისა და ცხოველნი ხმელისა“...

წყალგალმა — სახნავი და სათესია, გამოლმა — ბალახს ძოვს კამეჩი,

ქედზე ნაუღლარი დატყობია, — ბედის ამ განაჩენს მეც ველი;

ტირიფებს ფოთლები შეცვენია, მოვდივარ — ჟალტამია სოველი;

ფშანებში ვასაკების ორკესტრია და ტანზე ჟრიაშულის სამოსელს აცმევენ,

შენც ამ დუმლილიდან ამოდიხარ, ბნელში სანთელივით მინთიხარ,

ჩიტო, კარგი ამბავი, ჩიტო, „ოქროს ნისკარტი!“ — მუდამ ხელაღმართული და მშვიდობის მთხოვნელი —

უსათაურო ლექსის საწყარო

უსაზღვროებას თავის შიში აქვს, თავის ყინვა და თავის ცხელება;

მაინც რა ხდება, რატომ არ ვიცით, რა დროს გვემსხვერვა ტანზე ბეგთარი;

ფიქრის თანხლებით მთა-მთა რონება, დღეში, ღამეში ასე ჩარჩენა;

ეს სათნოება მთვარის სახიდან, ღმერთო, ასეთ დროს როგორ ისესხე;

ჩათვლემილია ირგვლივ მიდამო, ნისლში ფეხდაფეხ შედის ლიანთხა;

რალა მეკუთვნის „მე“ - ს ნაწილიდან, შენ რო გეკუთვნი თითქმის სრულიად;

მზე — საკუთარი ცეცხლით დამწვარი და ვარსკვლავები — ცეცხლის მტვერები;

არც დასაწყისი, არც დასასრული, დასაბამიდან ასე უღვივი,

საამბორებლად ხელი მიბოძე, — მგონია ბაგით სხივებს ვეხები;

ქუდებს იხდიან უკვე რკოები და შემოდგომას სალამს აძლევენ;

ანწლი

და ტოკავს ახლაც ლერწამი ტბორთან — მესალამურე პატარა მწყემსი;

ხე-კვიპაროსი — წინარე კაცი, ქალი-ლოტოსი — ისიც ასევე;

ფიქრი ძახველზე და ფიქრი ბზეზე, ფერაფერაზე — ფერში ნაზავზე,

იღვრება ციდან ფერადი სითხე, სითხიდან — შუქი, შუქიდან — ჩრდილი,

და შედის ჩქამი, ჩქამი და ბგერა სიტყვაში — როგორც საკუთარ სახლში;

ხე-კვიპაროსი — წინარე კაცი, ქალი-ლოტოსი — ისიც ასევე;

გაფოთლილია სხეულში შიში, შენ — არა, მაგრამ თავი მომწყინდა;

შენს გამო როცა ჩემ ამბავს ვყვები (გული აქამდეც ბევრჯერ გაჩვენე),

გამოყრილი მაქვს წითელად ტანზე ამ დროს აქა-იქ ძახველის ბუჩქი;

გამდგარა სხივზე ნიავეი თვალწინ, ნიავეს კვალზე ირწევა თივა;

გრძელდება ასე კვირიდან კვირე ნოლა ეკლებზე და თავთან ომი;

რასაც ვერ ვამბობ — ვავლებ „ტირეს“ ხილად გადებულს ორ სიტყვას შორის.

სიცარიელის წაკითხვის წესით მოდიხარ როცა და კარებს გიღებ,

ქმნიდა ქაოსი სამყაროს მოდელს და პოეზიას — სიტყვების მტვერი...

ახალი ახსნა

დევეს სასთუმალი — ყინულის ლოდი და საფეთქელის ხმაური ბზარავს;

ცეცხლზე შემდგარი ქვაბით ისვრის პეპლების შხეფებს ბალახის ტბორი,

და მიდის თვალწინ მდინარე, — ლიბერ ტალღას მიჰყვება სილა და ხრეში;

მაინც გიხმობენ? — პასუხი გმართებს და გულის სითბოს გაყოფა სხვისთვის;

არის წუთები, როდესაც შიშველ განცდას გაცრეცილ ნიღაბით მალავ

ულამაზესო...

შენ, მომდუმარი მიდიოდი, მშვენიერად თვალთა, შენ, დედოფალი სამყაროს, გულისთქმავ ღამის,

მშვენიერად თვალთა, ჩაიქროლე, როგორც ნიავემა და გატაცების იდუმალი კოშკი ამიგე.

მშვენიერად თვალთა, ჩაიქროლე სამეფო ყანდით, სანდომიანი მიგყვებოდა სინათლე რამე;

„ყოველგვარ ჭირზე უმძაფრესია შელამებებით ავადმყოფობა.“ გალაკტიონი

შელამებებით ავადმყოფობას ვიგონებ, შენზე ადრე რომ დიდი პოეტი გასცა,

ჩაგთვლემს. იღვიძებ. ძილ-ბურანს შორის ხიდია. ძირს მდინარეა, ძირს ჭრილობაა ღია.

ამ დროს მგონია, მართლა მკერდიდან იწყება მახრის ხმაური და მკერდზე გიდევეს ხელი;

ვიღაცა ამბობს — „საცეცები აქვს სარეცელს“ — ამბობს ვიღაცა... და ეს ვიღაცა შენ ხარ;

„რა საჭიროა!“ — ვთქვი და კოლომაც იდროვა, შეამჭიდროვა წრე და თავდასხმას ელი,

ქარის ნუხილი, ქარის გოდება გეცნობა,
გარეთ ღამეა, გარეთ ძაღლები ყფენ,
და იფოთლება სხეულში რამე ლენცოფა
თუ მარტოობა — ავადმყოფობის მეფე.

ლილის ნაბატივი

ფითრდება ფარდა, ფითრდება ფარდა
და რიბი-რაბო აფხიზლებს თვალებს.
რა გელის გარეთ, სინათლის გარდა
და ჩიტის გარდა, რა გელის გარეთ.

იკითხავ ამინდს და მხოლოდ ამინდს
და სხვას არაფერს (ჩვენში დარჩეს რო),
და მყვინთავივით ამოგაქვს ტანი,
ლამიდან რიჟრაჟს რომ შეაჩეჩო.

გალმა-გამოღმა — სხვადასხვა მხარე,
შეკრული ცისკრის ვარსკვლავით — ღილით,
შუქი და ჩრდილი — ასეთ დროს თვალებს
ითვინიერებს შუქი და ჩრდილი.

ერთი ძილიდან ამოსულ ღელის
ხმაური როცა მიდამოს თენთავს,
ნამოჰყრი საბანს აქნეულ ხელით
და უცხოთავით უბიძგებ შენ თავს.

და ხორხოშელა პერანგი რამე
აყვება სხეულს სიცივის გამო...
და შენც ამიტომ გაუზრბი ღამეს
და დღეში შესვლას ამიტომ ღამობ.

დეკემბრის ჩალა

მოხუცი მოხუცს რომ ეტყვის სალამს,
რომ დგანან ერთად და უთრთით მხრები,
თავს რად მახსენებს დეკემბრის ჩალა,
ნალექი ხარის ბებერი ყბებით.

თურმე „რა ახლო“ ყოფილა „შორი“,
ნუთის კი არა, ყოფილა წამის
სოფლის სიმართლე და სოფლის ჭორი
ანუ ნილაბი დღისა და ღამის.

დავლილვარ, ნიშანს იძლევა მუხლი,
მაჯის ხმაური და გულის ცემა,
ეს ყველაფერი, ნეტავი თუ ღირს
ლექის ტკივილად და ლექის თემად?

ალარ ბრუნდება ნასროლი ტყვია,
წყალს ნაყოლილი სილა და ხრეში,
მე ახლა სხივზე გამდგარი მქვია
და ბოლო ნერვი მიჭირავს ხელში.

ეს არის წრიდან ასხლეტის ნუთი,
ყოფნა-არყოფნის ეს არის ჟამი,
მიჰყვება ხმელი ფოთოლი თუთის
გიორგობისთვის უფერულ ამინდს.

დავეყურებ მთიდან უფერულ ჭალას,
ავსებულს ღამის იდუმალ ხმებით...
და თავს მახსენებს დეკემბრის ჩალა,
ნალექი ხარის ბებერი ყბებით.

სამის სათქმელი

ვიდრე ამოიტყვის, ღანჯზე ახატია
(მზერით შეისწარი, ელაშურით):
„ჩვენს ასპარეზი მაინც ქალაქია,
თეთრი ფანტაზიის მელნით შენამული“.

წვიმამ დაასველა რიკულები,
უკვე რახანია, გულში ქარი სახლობს;
ჭარბი სიჯიუტით იყურები —
რასაც გიკარნახებს — თვალთ დაინახო:

„ვარდზე ლოკოკინის ლორწოს მიაგავდა,
თუ ზოლს მიაგავდა ჩიტის ფრთაზე“
(ფრთხილად აახლოვებს სურათს ნიაღვართან —
დუჟმოდებული რომ მიდის გზაზე).

წვიმით შეფერილი ხმები გამოისმის,
ხათრად ხოშკაკალაც წაუშაშუბებებს.
„მორჩა, ტყვეობიდან თავს ვერ გამოვიხსნით“ —
თუკი მიაკითხავ — ასე განუგებებს.

საქმე საზიარო წასულია
(მეც ხომ გაჩენიდან ბედი მეჩემება).
ნეტა, ავსულები ახლაც გარს უვლიან
ცეცხლს თუ გაღენჩებულ თვალებს ერვენება.

ერთის კი არა და, სამის სათქმელია,
„ხანმა უნდობარმა“ შუქს რომ მოარიდა;
ამ დროს შეგახსენა თავი გამთენიამ
და მეც ამოვზიდე ტანი კომპარიდან.



სალამობანს დაინახა თვალმან,
ქვეყნის დარაჯამან:
ცხვრის მაგიერ მგელი ძოვდა, ღამის ველი გადაჭამა,
მეუბნები: მოვიძიოთ, იქნებ გვიხსნას რალაცამან,
თურმე ავი თუკი მოვა, აღარსადაც აღარ წავა,
მაგრამ ღმერთი შეგვეწვევა, თუ ცხოვრებამ გაგვანამა...

ეჯახება ქარი ტირიფს, დადუმებულს ბრაზით არწევს,
ვერ უყურებს ცაში არწივს, მთელი ზეცა თავზე აწევს,
რაც მოხდა და რაც არ მოხდა, —
გლოვისათვის გამოაწყვეს,
დააყენეს ტბის ნაპირას, ახლა ქარი ერჩის ნანყენს,
ეჯახება, ებრძვის, უსტვენს,
ის კი, მაღლა თავსაც არ წევს...

ვარდისა და იის ბაღებს,
გულანშაროს სასახლეში ქარი სარკმლებს გამოაღებს,
პატიოსან კაცთა სევდას
მელნის ტბიდან სისხლში აღრევს,
ჰპოვებ ნილბით მავალ ჩრდილებს,
სულით დაბლებს, ტანით მაღლებს,
მეც დავალ და დარდს ვაგროვებ,
გიმრის ჭერის მზერით დამლელს,
ვითა წვიმა ამღვრევს შავ ზღვას,
ხვალინდელზე დარდი მამღვრევს.

როგორ უნდა ენდოს კაცი
ცრუ სამართალს, ბრმას და მრუდეს,
კეთილსა და ბოროტს შორის ნაშლილია როცა ზღუდე,
სხვისი ჭირი არ იდარდოს,
წყნარად იჯდეს თავის ბუდეს,
არ ეცადოს ნაიკითხოს,
რაც მტერ-მოყვრებს გულში უდევს,
არ იტიროს, მის ხალხს დიდი ოცნება თუ გაუქურდეს.

ივლისის ხოდაბუნებში მწვანე ჯეჯილი ღელავსა,
ლამაზი ალაზნისპირი მიწვევს, ვერ ვამბობ ვერასა,
მზე დასალიერს მიელტვის, ჰკიდია მთების წვერასა,
დარდი მკლავს მომაკვდავისა, უიმედობის მწერალსა,
ვითა სიცილი ტირილს სჯობს, —
ვაგლაზი მიჯობს მღერასა...

ნარიყალამ მედიდური გამოხედვა არ იკმარა,
მეტეხიც ნუხს, — წვიმიანი დღე აწევს და
მარტი ქარავს,
მეგობრად არ მომინდომა, ჩაურბინა ქარმა ქალაქს,
მარტო დარდი არ მომშორდა, — მემშობლა და
მედაქალა.

„გადაიხვეწე ჩიტივით თქვენს მთებში“.
ფსალმუნი 10-1
გინდ წამო და გინდა დარჩი, არ დავინყებ, იცი, ხვეწნას,
მე რომ ამას გეუბნები, ეცინება ტბასთან ძენწას.
იცინოს და ისერიოს, უნდა ჩემს მტრებს გადაეწნას,
ჩიტის მსგავსად მოვახერხებ
მაღალ მთებში გადახვეწას...

მარტი ითვის ბოლო ნუთებს,
ითმენს ზამთრის ბოლო წყენას,
ვაშლის ხეებს კვირტებს უთბობს,
უთმობს ტყემლებს ყინვით ტკენას,
ყვავილები ველს რომ ფლობენ,
ფუტკრებს უწყებთ გული ძგერას,
სიძულვილი ჩუმად ქრება, სიყვარული ჩნდება ჯერაც.

გამაბრიყვა მინის სუნმა, დამავინყა ჟამი ავი,
ბუჩქის ძირში ამოსულმა იამ შემახსენა თავი,
არე ტრფობის სუნმა შეძრა,
მინდა მერგოს თუნდაც გრამი,
არ ეგების, უმისოსა ნონაც არ აქვს ყოფას დრამის,
ცხედავ, ყველა კარგად ხვდება —
რა ჭირსა ვართ გამომძვრალი,
გული როგორ არ გალხვება.
თუკი გალხვა მინა მზრალი...

როგორ არ ვთქვა ლოცვა ჩუმი: შემვივრდომე, მარიამო,
ქარიანი კლდის ნაპირზე ჩემი ძმები არიანო,
მკვდარმა როგორ უნდა შევძლო,
უფლისაკენ არ ვიარო.

ადრიანი გაზაფხული სიმშვიდის თელს სულში თესავს,
ნერო ჯერ არ მოფრენილა,
ტბისპირ ბუდე მზად აქვს წელსაც,
იქვე მთა დგას მოწყენილი —
მდინარის პირს მზერით მწყემსავს.

ზღაპრის გოგო წითელქუდა
ულრანი ტყით დადის მუდამ,
ხან მშიერი მგელი მოსდევს, ხან ობობას აბლაბუდა,
თვალზე ჩუმად ცრემლი მოსდის,
თუ იცინის, სევდა გუდავს,
ხან იესოს ევედრება, ხან ალაჰს და ხანაც ბუდას...

ცხოვრება ისე მძიმე, გაგსრევს კიდეც, დაგამცირებს,
ასჯერ მაინც აგატირებს, თუკი ერთხელ გაგაციინებს,
ჩამოქროლილ ბედის ვარსკვლავს
ნამიერად აგაცილებს...

ძენწას არხევს აქაც სიო ალაზნისპირ, ალავერდთან,
რა სჯობს ამ ბრგე კავკასიონს,
ან ამ ტაძრის გალაგებთან
ამოქროლილ იის კრთომას,
ქარის რხევას დალალებთან...

გვიან ესმა დაძახილი, ატმებს ჩუმად ბაძავს თხილი,
შეისუნთქა გაზაფხული, აყვავილდა ვაზიც ფრთხილი,
რუ ახალ გზით გაჰყვა ბლიკს —
ძველი დახვდა გადათხრილი...

ისნი დღენი არ ნაშლილან —
ელი, შენ რომ გდევდა მდევრად,
მაშინაც კი გულანშარო უკეთესი იყო ბევრად,
მერმედ ჩაქრა იმედი და
ბედისწერამ კლდე-ღრე გვედევნა,
ვა, სოფელმან, სოფელს მყოფნი
ბევრნი დაგვსვა ცრემლთა დენად,
ზოგსა გვაკრავს ეშაფოტსა,
ზოგი შორეთს გამოგვედევნა,
ეშმაკსაც კი უკვირს უკვე, რა ცოდვა გვაქვს ამოდენა!..

აენვებათ ზურგი ქედებს, ისეთ სეტყვას ნამოუშენს,
ბედი გვიჩენს წყლულებს დღემდე,
სასიკვდილოს და მოურჩენს,
მაგრამ ღმერთი საშველს, მენდე,
ჩვენწაირსაც გამოუჩენს...

ალარ ძალმძის აღარც ოხვრა,
ფიქრი ფიქრმა გადაცხრილა,
სიკვდილივით რალაც მოხდა,
მაგრამ არვინ გარდაცვლილა.
ვერ გაიგებს ვერავინ და, ბედი მისით გამოხტება!..
შენ რა იცი, მე რა მინდა, მეც რა ვიცი, რა მოხდება...



ყველაფერი, რაც კი გოდერძი ჩოხელის სახელს უკავშირდება, თითქოს აუცილებლად უნდა აღიბეჭდოს მაღალი სულიერებით და ეს მოლოდინი არასოდეს ცუდება. რამდენიმე წელიწადია, არსებობს გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი (დამფუძნებელი და ორგანიზატორი: ირმა სანაძე) და რამდენი ნატიფი, დახვეწილი ტექსტი აღმოჩნდა, სწორედაც მაღალსულიერებით, მარადი „წყველა-კრულიანი საკითხავ (ებ)ით“ აღბეჭდილი — თითქოს „სულიერის კიდობნიდან“, სასულიეროს მზისფერი ველებიდან ეშვებოდეს ახალგაზრდა (ან არახალგაზრდა) თანამოდასეთ სული დიდი მწერლისა, კიდევ ერთხელ რომ ღირსეულად გაცხადდეს ქართულად „ადამიანთა სევედა“.

რევაზ თვარაძე წერდა ესმა ონიანზე: „შემოქმედი — ეს არის, უპირველესად, სულის გაცხადება, მას შემოქმედებით მოაქვს ზეციური სამყაროს, ზესთასოფლის გამოცდილება ამქვეყნად, გვაზიარებს ღვთაებრივ სიმართლეს და მშვენიერებას... ზეცას უნდა ვუთხრათ მაღლობა, რომ ამ რანგის სულნი ჩამოეშვებიან ხოლმე სწორედ ჩვენს სამშობლოში, საქართველოში.“

გოდერძი ჩოხელიც „გამორჩეული სულია“, „ზესთასოფლის გამოცდილებით“ და, რა ბედნიერებაა, რომ მისი სახელობის ლიტერატურული კონკურსიც ამოაჩენს ზესთასოფლისავ გამოცდილებას — ნათელ, სევდიან, დახვეწილ ტექსტებს, რომელნიც მერამდენედ გვანუგებებენ, რომ (თუ გურამ დოჩანაშვილს დავესესხებით) „ჩვენი პანია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ (განვავრცოთ — სამწერლო) რუკაზე ერთ-ერთი დიდი, ძლევამოსილი სახელმწიფოა“. „მშრალ რიცხვების აპარა“ — კონკურსანტთა „ნომრების“ მიღმა ტექსტების კითხვისას ვგრძნობდით (ყოფის თავმჯდომარე: ამირან არაბული. წევრები: იოსებ ჭუმბურიძე, ნანა კუცია) გემოვნებიან, კულტურულ ავტორებს, რომელთაგან მრავალი აუცილებლად დამახსოვრდება ქართველ მკითხველს — ნარატივის სიმძაფრით, ტონებისა და ობერტონების გემოვნებიანი შერწყმით...

განებიერებულ ქართველ მკითხველს არც ამჯერად გაუცუდდება მოლოდინი.


ნანა კუცია

I პრემია
ლელა ცუცქირიძე

დღეს ჩემმა ბიჭმა მნახა

— ბამარჯობა, ქალბატონო მზია, შეიძლება?
— გამარჯობა, — ქალმა კომპიუტერს თვალი მოაშორა, ოთახის კართან ატუზულ ახალგაზრდა კაცს დააკვირდა, — გიო?
— მითხრეს, რომ ჯერ თქვენთან მოესულიყავი, — უხერხულად გაუღიმა გიომ. ქალი წამოდგა, მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა:
— როგორც იქნა, გამოჩნდი. ნვერი მოგიშვია, ძლივს გიცანი. როგორ ხარ?
— რავი. აი, მამაჩემთან მოვედი, — მხრები აიწურა გიომ.
— რამდენი გეძებეთ, მაგრამ ვერაფრით გიპოვეთ. ტელეფონი გათიშული გაქვს... რა მისამართიც გექონდა, იქ მსგავსი არავინ ცხოვრობსო...
— ჰო, რავი, ასე მიეწყო მოკლედ, — ისევ უხერხულად გაიღიმა გიომ, — და ისე, რატომ მეძებდით?
— რატომ და... გარდაიცვალა მამაშენი. ერთი თვის წინ. დედაშენის გვერდით დავეკრძალეთ. ძალიან ღირსეული ადამიანი იყო, ძალიან თავდაჭერილი. აცხონოს ღმერთმა, — დანაწევით თქვა ქალმა, — არ მახსოვს, ამ ხუთი წლის მანძილზე, რაც ჩვენს თავშესაფარში ცხოვრობდა, ოდესმე დაეწუნუნოს ან საყვედური ეთქვას. ვიზიარებ...
გიო ცოტა ხანს გაშეშებული იდგა, უცებ დაუდგა თვალწინ მამა, რომელსაც არასდროს უთქვამს მისთვის საყვედური, დედა, რომელიც მასზე დარდს გადაჰყვავდა, ვალეების გამო წართმეული სახლი, ვალეების გამო მომდურებული ნათესავები, მეზობლები, ახლობლები...

გიო უხმოდ გავიდა ოთახიდან, მერე უცებ მიტრიალდა:
— ქალბატონო მზია... 50 ლარს ხომ ვერ მასესხებთ? აუცილებლად გადაგიხდით.
— ეეჰ, გიო, გიო... — ქალმა თავი გადააქნია, — ისევ თამაშობ, ბიჭო?
— არა, რა ვთამაშობ, რამდენი ხანია, თავი დავანებე... — ყელში მოაწვია ბრაზი გიოს.
— ბატონი გიოს ნივთებს მოგცემ, ბევრი არაფერია, მაგრამ... — ცივად უთხრა ქალმა, ოთახიდან გავიდა, მალევე დაბრუნდა და გიოს პატარა, გაქუცული ჩემოდანი გადასცა. გიომ უხმოდ გამოართვა და შენობა დატოვა.
— გიო! — მოესმა ქალის ხმა უკვე ქუჩაში გასულს.
„ფული უნდა მასესხოს!“ — გაიფიქრა, სწრაფად შეტრიალდა.
— ძალიან უყვარდი მამაშენს, — ქალი ეზოს ჭიშკართან იდგა.
გიომ არაფერი უპასუხა. გზას გაუყვავა, მერე თავშესაფრიდან მოშორებით, სკვერში ჩამოჯდა, მიიხედ-მოიხედა, ჩემოდანი სწრაფად გახსნა, სწრაფადვე ამოქექა მამის ნივთები, საფულე, რომელშიც მხოლოდ მისი და დედის ფოტოები იდო. ქუდი, ქურთუკი, შარვალი, ორიოდ პერანგი და მოულოდნელად ჩემოდნის ფსკერზე თიხის პატარა ყულაბას მოჰკრა თვალი.
— აუ, ჯიგარი ხარ, მა, ჯიგარი! — ოფლმა დაასხა სიხარულისგან, ყულაბა შეანჯღღრია, ყრუ შრიალი მოესმა.
— აუ, როგორ მიშველე, მართლა შეჯიგარო! აი, ნახავ, თუ არ მოვიგებ დღეს! მაგარი სასაფლაო უნდა გაგიკეთოთ შენ და დედას...
გიომ ყულაბა სწრაფად დაახეთქა ბეტონის ფილებს.
მერე ნამსხვრევებს შორის გამალებით დაუწყო ძებნა ფულს.



არცერთი კუპიურა, მხოლოდ რვეულის ათიოდე დაკეცილი ფურცელი, მამის ერთი და იმავე ჩანანერით, სხვადასხვა თარიღით:
„დღეს ჩემმა ბიჭმა მნახა. 2015წ. 20 დეკემბერი“.
„დღეს ჩემმა ბიჭმა მნახა. 2016წ. 1 აპრილი“.
„დღეს ჩემმა ბიჭმა მნახა. 2016წ. 15 ნოემბერი“.
„დღეს ჩემმა ბიჭმა მნახა. 2018წ. 1 ივლისი...“
დღეს ჩემმა ბიჭმა... ჩემმა ბიჭმა... მნახა.

II პრემია
დიანა ანფიმიადი
რადიო
ნამდვილი ამბავი
ფერეიდნული ტექსტებიდან

...რეჟისორი სულ უკვირდა მამის უცნაური საქციელი. ადგებოდა ეს დროული, დარბაისელი კაცი, ჩავიდოდა ეზოს ბოლოში, ხეხილის ბაღსა და ბოსტანს შორის, და პატარა ბავშვით აქეთ-იქით სირბილს დაიწყებდა, თანაც ხელს იქნევდა. ცოლი ნერვიულობდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ადრეღებულად გახედავდა ხოლმე ქმარს, რომელიც ხან ხელებანეული დარბოდა, ხან უცნაურად გაშეშებოდა, ხან მინაზე განვებოდა და ინვა ასე, ინვა... აი, ბაღებმა რომ გაშეშობნას თამაში იციან, ისე. სიკვდილის წინ საწოლთან მოუხმო ვაჟს, ჯერ აკანკალებული, დაღეული, ძვლებამდე დასული, გამჭვირვალე ხელით საფეთქელზე მოეფერა, მერე შუბლზე აკოცა და ბოლოს, საჩვენებელი თითი საწოლთან მდგარი პატარა ზარდახშისკენ გაიწვინა, ქართული ასოები რომ ჰქონდა ამოტვიფრული. რეზო მიუხვდა მამას გულისნადილს, ზარდახშა საწოლთან მოუტანა. რას ელოდა, ვინ იცის, უძველეს ოქროს მონეტებს? წერილებს? ანდერძს? კიდევ რამეს, ძვირფასს და თან საიდუმლოს? მოხუცმა ხელი ზარდახშში მოაფათურა და პატარა რადიო ამოიღო. არასდროს უნახავს ეს ნივთი რეზოს მამის ხელში... პატარა იყო, დაახლოებით იმ ყურანისხელა, მამა რომ ჯიბით ატარებდა. „აგე, ჩადი ქლიავ-ჭანჭურთანო“ — ესლა უთხრა მამამ და თვალები დახუჭა. დახუჭა სამუდამოდ...
გადაიარა მამის გაცილების დღეებმა. რეზო მამის დანატოვარს ინახავდა და განმარტოებულ საათებს ელოდა, როცა რაღაც საიდუმლო უნდა გაეგო, რაღაც აქამდე უცნობი და ამოუხსნელი. ეზოს ბოლოში, ხეხილის ბაღში ჩავიდა და რადიო ჩართო, მომართა, შიშინი, სპარსული სიმღერები, ვიღაც ფრანგი მომღერალი, შიშინი, შიშინი და რაღაც ნაცნობი...
რადიოიანი ხელი ჯერ ცისკენ გაიწვინა, ხმა თითქოს დაიწვინდა, მაგრამ არა, საკმარისი არ იყო, მერე მარჯვნივ გაიქცა, მერე მარცხნივ, მერე მინდორზე წამოწოლაც სცადა, ხმა მოდიოდა, მაგრამ სი-

ცყები არ ირჩეოდა... ბოლოს, რამდენიმე ბგერა ერთმანეთს გადაება და ასე, კაცი გაჩერდა, გაშეშდა: „სალამო მშვიდობის, ძვირფასო რადიომშენელებო, ლაპარაკობს თბილისი, დედაქალაქი თბილი ამინდია...“ — ისმოდა ქალის ხვეწვითი, ლამაზი ხმა...
— რას აკეთებ, რეზო? — ეკითხებოდნენ მეზობლები, როცა ეზოს ბოლოს უცნაურად მორბენალს ხედავდნენ.
ქლიავ-ჭანჭურს დავდეგო — ასე უახსოვდა.
ირანში რადიო უცხო ხილი იყო, უცხოც და სამიშიც.
არავისთვის გაუმხელია ფერეიდანში დაჭერილი ქართული ხმა — ქლიავ-ჭანჭურის უცნაური მოსავალი.

III პრემია
ლევან ლორია
ჩემი ჯორჯო

— იცნ, ვის ჰგავდა ჩემი ჯორჯო? რიდილი სკოტის ფილმი რომ არის, „გლადიატორი“ — გენერალ მაქსიმუსს. რასელ ქროუ თამაშობს, ხო? ჩემი ჯორჯოც გენერალი იყო! ჩემი ჯორჯო! იცი, როგორი მზერა ჰქონდა? რომ შეგხედავდა, დღეც ყველა ვარსკვლავს დაგიტვლიდა თვალეში! მერე შვილი გაგვიჩნდა, მაშინ აფრიკაში იყო სამშვიდობო მისიით. ჰოდა, ისე მენატრებოდა, მის უკითხავად ბიჭს ჯორჯო დავარქვი. ერთი დღისაც რომ არ იყო პანია, ვეხვეწებოდი, დამპირდი, რომ შენ სამხედრო არ გამოხვალ-მეთქი. ბაღე-რონი მინდოდა, გამოსულიყო. დიდი ჯორჯო გაგიყვდა, რა ბაღეტი, ჩემი შვილი იტალიის არმიის გენერალი უნდა გახდესო. ფილმი „ქალის სურნელი“ ხომ გახსოვს? ალ პაჩინო რომ ცეკვავს, ის ვანახე. ტანგო ისწავლოს, მაინც გენერალი გახდებო — იცნოდა... მერე გოგოც შეგვეძინა, ჩემი ჯორჯო ვერტმფრენით მოფრინავდა ლამით, მშობიარობისთვის უნდოდა მოესწრო. ამაოდ ველოდე. ვარსკვლავებს შეერია... სამი დღის შემდეგ მითხრეს, რომ კატასტროფა მოხდა. გოგო ახლა ამერიკაშია, ვიღაც ჩიტირკია ამერიკელ მილიონერს გაჰყვავა ცოლად. ეს თემები სად გაიკეთე? სტილისტი მოვიწვიოთ ჩვენთან! — სინიორა, მაპატიეთ, ვერ მოვასწარი დავარცხნა! — არა, ნუ მეზობლები, ასეც გიხდება! იცი, თავიდან მემინოდა ბადანტეს, უცხო ოჯახში როგორ შემოვუშვი, ვდარდობდი! ახლა როგორ შეგეჩვიე! ჩემმა გოგომ დამირეკა ამერიკიდან, ძალიან მოეწონე, კარგი ხმა აქვს და კარგი თვალეში! დამანა, დამანას ტექსტი დამინეროს და ნოტები გადმომიგზავნოსო! — რა დამანა, სინიორა? — შენ რომ მღეროდი, დამანა, დამანა! — აა, დამანა? ჟუჟუნა წვიმა მოვიდა? — ხო, ადრე მთხოვა, შენზემ ვიდუო გადაულე, მაინტერესებს, როგორი გოგოაო, იმასაც ეშინოდა უცხო ადამიანის. მერე ვიდუოში რომ გნახა, ძალიან მოეწონე. ტელეფონით გადაგილე საქმელს რომ ამზადებდი და



თან ღიღინებდი! რას ნიშნავს ეს „ჯუჯუნა ცვიმა...“ — ისე, უბრალოდ, წვიმის სახელია. — წვიმასაც სახელი აქვს თქვენთან? — კი, თან ასამდე! — ასეთ შეჩვევას, არ ვიცი, რა ქვია! მინდა, ჯორჯოს შეგროვო, ბედოვლათი, ოჯახზე არ ფიქრობს, მხოლოდ არმია! — მე გათხოვილი ვარ სინიორა, შვილი მყავს! — აკი ქმარი არ მყავსო! — ქმარი გარდამეცვალა, ჩემი მეუღლეც სამხედრო იყო, ომში დაიღუპა. — როგორ ომში, შენ ქვეყანაში ახლა ომია? — რამდენიმე წლის წინ, აგვისტოში...

...გული მწყდება რომ მიდიხარ, იცი, ჩემ ჯორჯოს ძალიან მოეწონებოდა? რომ გნახა, შენ რომ არ გაგეგო, ჩემად ვკითხვ, აბა, შემიფასე-მეთქი და მიჩურჩულა, უკვე მიყვარსო... დღეს დილით ველაპარაკე. წყინს, რომ მიდიხარ, არ გაუშვავო, მოხვებს!

— უნდა წავიდე, სინიორა, — ვეუბნები, — მე სამი ჯორჯო მყავს მისახედი.

რა გულჩვილია, ცრემლები მოსდის, თან მეკითხება: — მართლა? ვინ არის შენი ჯორჯო? მერე ტელეფონში ჯერ გიას სურათი ვანახე, ერთად ვართ, ომის წინა პერიოდი, გიორგიზე ორსულად ვიყავი მაშინ. ეს ჩემი მეუღლეა, ვეუბნები! მერე გიორგის სურათიც, ქართულ ჩოხაში, ჩემი შვილია-მეთქი, — მეც ვიცრემლები. რამხელა შვილი გყოლია და მესამე ჯორჯო ვინ არისო. მერე ხან თოვლიან მწვერვალებს ვაჩვენებ, ხან ზღვის ნაპირებს და მდინარეებს, ხან უძველეს ტაძრებს. ჯერ ვერ მიხვდა. უკვირს — აბა, სად არის ჯორჯო? ეს არის, სინიორა, — ვეუბნები, — ეს ჩემი ქვეყანაა. უცხოელები ჩემს ქვეყანას გეოგრაფიას ეძახიან, ანუ როგორც თქვენ ამბობთ — ჩემი ჯორჯო...

**მონონებული მოთხრობა
ნათუნა სახვაძე**

სარეველა

— ვინ ვარ?
არ ვიცი, ისიც არ ვიცი, საიდან და როგორ მოვხვდი ამ ლამაზ ბაღში, ჩემს ირგვლივ უამრავი ლამაზი ყვავილია, მე მათი სილამაზით ვხარობ, შევცქერი მათ და თავი მეც ლამაზი მგონია.

„რადგან უფალმა ამ ლამაზ ადგილას მოისურვა ჩემი გაჩენა, ესე იგი, ჩემშიდაც არის სილამაზე“ — შევძახებ ხოლმე თავს და ვცდილობ გავიღიმო.

არ ვიცი, როგორ მოვხვარხე, მაგრამ მეზღვის სიყვარული მოვიპოვე, იმის მაგივრად, რომ თავისი მშვენიერი ყვავილებიდან ამოვიღებო, მეც მათსავით მივიღო. წყალს მისხამს. მეც ვცდილობ, ლამაზად გამოვიყურებოდე.

— ნახეთ, რა ლამაზი ყვითელი ყვავილი გამოვიტანე? — მაგრამ ჩვენი მეზღვის გარდა მას ვერაფერს ამჩნევს.

— ეს სარეველა მოაშორე აქედან, — ეტყვიან ხოლმე, — სად ნახე სარეველას სილამაზე? ძირიანად ამოძირკვე, თორე გაისად მთელ ბაღს მოედება და...
ისინი ფიქრობენ, რომ ჩემი მოშორება ძნელია. იქნებ მართლაც არიან.

უცნაური რამ დამემართა, შემეყვარდა! ჰო, მე, სარეველას შემეყვარდა და იცით ვინ? ბულბული. ვიცი, გაცივებთ, სად შენ და სად ბულბულიო, მაგრამ შემეყვარდა, ისე შემეყვარდა, რომ მის გარდა ვერაფერს ვამჩნევდი. ჩემი დღე მასზე ფიქრით იწყებოდა და ღამდებოდა. ვიცოდი, რომ ყოველ დილით ჩვენს ბაღში მოფრინდებოდა და დიდ დროს დაჰყოფდა აქ. მისი გალობით გულს გვიხარებდა და მეც შეხარობდი, თავს ვანონებდი. გაგვიცინათ ხომ, სად სარეველა და სად თავისი მონონება. ალბათ ისიც ასე ფიქრობდა. გვიან, ძალიან გვიან შევამჩნიე მისი აქ ხშირად სტუმრობის მიზეზი. ჩემს გვერდით წითელი ვარდი შეჰყვარებოდა და მას სტუმრობდა. არ მკითხვოთ, რა ვიგრძენი, ეს რომ გავიგე... მაშინ პირველად ვინატრე გაქრობა, საკუთარი გრძნობების შემრცხვა და მსურდა, ადგილზე ჩავენთქე მინას.

ნეტავ გენახათ, რა კარგი სანახავეები იყვნენ ისინი ერთად. დამეთანხმებით, რომ მართლაც ერთმანეთისთვის გაუჩენია ეს ორი არსება ღმერთს. მათი სიყვარული მთელ ბაღს ალამაზებდა, ყველა მათ შეჰხარობდა, მათ შორის მეც. სიყვარული ნიჭია, იხარო სხვისი ბედნიერებით და გტკიოდეს მისი ტკივილი.

არ არსებობს იმაზე უფრო ლამაზი სიყვარული, როგორც ორი სრულყოფილი არსების სიყვარულია. სრულყოფილი სიყვარული მარადიულად უნდა იყოს, მაგრამ ერთ დღესაც ჩემს თვალწინ დაჰქანა ლამაზი სიცოცხლე, ჩამოუვარდა ვარდს უკანასკნელი ფოთოლი... იმ დღეს იმაზე საშინლად ვიგრძენი თავი, ვიდრე მაშინ, როცა აღმოვაჩინე, რომ არასოდეს შემეყვარებდნენ და ჩემი სიყვარული უპასუხო დარჩებოდა.


ვუყურებ, როგორ იტანჯება ბულბული, როგორ ღვრის ცრემლს მისი საყვარელი არსების გამო და საკუთარ თავს ვწყევლი. მე, სარეველა, ვაგრძელებ სიცოცხლეს, ვისაც არავინ ჰყავს, ვინც არავის სჭირდება, ლამაზი ვარდი კი რომელსაც ჩემი სიყვარული შეჰხარობდა, აღარ არსებობს.

არასოდეს ჩათვალეთ საშინელებად საყვარელი არსების სხვის გვერდით ბედნიერად ყოფნა. საშინელებაა, როდესაც მას უბედურს ხედავ.

გიყვარდეთ, ადამიანებო — თქვენ უფალმა სიყვარულის ნიჭი მოგმადლათ... გიყვარდეთ უანგაროდ.

მე, სარეველამ, შევძელი სიყვარული და თქვენ გაგიჭირდებათ?

იხარეთ სხვისი ბედნიერებით და გტკიოდეთ სხვისი ტკივილი...



ნაკობ გოგებაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია

2019 წლის მინორულს „მწერალთა სახლმა“ ორი კონკურსი გამართა — გამოვლინდნენ დაჯილდოვდნენ ნაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურული პრემიის ლაურეატები და ესეების კონკურსის გამარჯვებულები. ეს უკანასკნელი გურამ დოჩანაშვილის 80 წლისთავს მიეძღვნა.



გურამ დოჩანაშვილი - 80

ნაკობ გოგებაშვილის პრემია

ზოგადად, არერთხელ აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პრემია, რომელიც მომავალი თაობისთვის შექმნილ ლიტერატურას ეხმარება. სწორედ ამით იყო განპირობებული ინიციატივა, რომელიც 2017 წელს განხორციელდა, როცა „მწერალთა სახლმა“ პირველად უმასპინძლა ნაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურულ კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 2018 წელს გამოცემულ წიგნებს, პიესებსა და ინოვაციურ საბავშვო პროექტებს.

ამჯერად 54 წიგნიდან, 6 ინოვაციური პროექტიდან და 1 პიესიდან ჟიურიმ (ლელა ცუციქორიძე, გიორგი ჭაუჭიძე, პაატა პაპავა, თამარ კვიციანიძე და თამარ ფხაკაძე) საუკეთესო პროზაული წიგნი (ყმანვილთათვის 13+) საუკეთესოდ არავინ მიიჩნია, ამავდროულად 3-6 წლის ბავშვებისთვის გამარჯვებულად თუა თოფურიასა და სონია ელიაშვილის „წყალდიდობა ზოოპარკში“ (გამომცემლობა „Edition Orient“), ხოლო 7-12 წლის ასაკის მოზარდებისთვის ვასილ გულგულის „მიკო და რეი“ (გამომცემლობა „ქართული“) დაასახელა.

2019 წლის ნაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატები გახდნენ:

საუკეთესო პოეტური წიგნი

გივი ჩიღვინაძე „მთების და ტყეების ამბები“ (გამომცემლობა „ცისიერი“);

საუკეთესო დებიუტი

გიორგი მახარაშვილი (ნილს სიმეონი) „14 კრისტალის თეორია“ („სულაკაურის გამომცემლობა“)

საუკეთესო საბავშვო დრამატურგია

ალექს ჩიღვინაძე „დათვი ტყეში ბრუნდება“;

საუკეთესო თარგმანი

ციცო ხოცუაშვილი — ჯერომ კ. ჯერომი „სამნი ნაწი ძაღლს თუ არ ჩავთვლით“ („სულაკაურის გამომცემლობა“);

საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი 3-6 წლის პატარებისთვის

სონია ელიაშვილი „წყალდიდობა ზოოპარკში“ (გამომცემლობა „Edition Orient“);

7-12 წლის მოზარდებისთვის

ოლესია თავაძე — სულხან-საბა ორბელიანის „ძალა ერთობაშია“ (გამომცემლობა „სეზანი“).

საბავშვო-საყმანვილო ინოვაციურ პროექტად ჟიურის ნევრებმა მარიამ ნიკლაურისა და ნინო ჩხიკვაძის სატელევიზიო პროექტი „კლუბი დო“ მიიჩნიეს, ხოლო საბავშვო ლიტერატურაში განეული ღვანლისთვის ჯილდო პოეტ მზია ჩხეტიანს გადაეცა.



ესეების კონკურსი უფროსკლასელთათვის

„მწერალთა სახლმა“ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელთათვის ესეების კონკურსი გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამოაცხადა. IX-XII კლასის მოსწავლეებს კონკურსის წესების თანახმად გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მიხედვით „მწერალთა სახლის“ მიერ შეთავაზებული სამი თემიდან (კარცერი-ლუქსი — ოცნება წიგნის მოყვარულთათვის — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“; გზა მწყემსობიდან ვატერპოლომდე — „ვატრე(პო)ლოო ანუ ალდგენითი სამუშაოები“; ჩემი საყვარელი ნაწარმოები გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებიდან) ერთ-ერთი უნდა წარედგინათ.

„მწერალთა სახლის“ თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ 500-ზე მეტი ნაშრომიდან 12 საუკეთესო შეარჩია და, შესაბამისად, სამი პრემია და ცხრა ნამახალისებელი პრიზი გასცა.

I პრემია

თეა ჭელიძე — ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორლოვკის საჯარო სკოლა;

II პრემია

გივი მირზიაშვილი — მცხეთის პირველი საჯარო სკოლა;

III პრემია

ანა შამათავა — ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს პირველი საჯარო სკოლა.

ნამახალისებელი პრიზები („ალტასა“ და „ბიბლუსის“ 100ლარიანი ვაუჩერები) გადაეცათ:

ერეკლე ხობიაშვილს — თერჯოლის რაიონის ქვედა სიმონეთის პირველი საჯარო სკოლა; ნათია ბერიძეს — ხულოს მუნიციპალიტეტის ტუნაძეების საჯარო სკოლა; ზარუჰი ათორაკალიანს — ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის რუსთაველის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა; ვახტანგ გამცემლიძეს — თბილისის 72-ე საჯარო სკოლა; როლანდ ხარაბაძეს — ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუჯის საჯარო სკოლა; დარია სტრუკოვას — ნინოწმინდის რაიონის სოფელ ორლოვკის საჯარო სკოლა; მარიამ მახვილაძეს — გორის მე-12 საჯარო სკოლა; გიორგი ხვედელიძეს — ჭიათურის მე-2 საჯარო სკოლა.

უფროსკლასელებსა და მათ ქონაგებს „მწერალთა სახლმა“ დეკემბრის ბოლოს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების ცერემონიას ქართლის საოკუპაციო ზოლის ცხრა სოფლის მოსწავლეები ესწრებოდნენ.



გიორგი ლოპაშინიძის პოეტური კრებული — „სიზმრის ნანგრევები“ (რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე; ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ გამოცემა; 2019) ინყება ლექსით, რომელსაც ჰქვია — „პოეზია — ჩემი რელიგია“. ამ ლექსის დასაწყისში ვკითხულობთ:

პოეზია რელიგია კი არ არის,
რომ მოგატყუოს,
არარსებულ სივრცეებში
შეგვიყოლიოს...

ვიდრე ცოცხლობ,
სიცოცხლე რომ აღარ გაცალოს,
გითხრას, ეგ რა სიცოცხლეა,
მოკვდები და ყველაფერი მერე ინყება:
მოყვავილე ბაღებიც და
ცეცხლის ბურბურიც,
სიყვარულიც მერე,
მერე,
როცა მოკვდები,
როცა სულზე ეგ სხეული
აღარ გეცემვით,
კოცნას ამბორი დაერქმევა,
ხვეწნას — ალერსი...

შემდეგ კი, ცოტა ქვემოთ, რამდენიმე სტრიქონის მერე, პოეტი წერს:
ერთადერთი პოეზია არ მერიდება,
სადაც წავალ, თან დამყვება —
ჩემი თავივით...
მომავლით კი არ მანუგეშებს,
ანწყოს მახარებს,
ნამიერად
როგორც ვარ,
ისეთს მირეკლავს,
არასოდეს არ გამირბის
სხვების სირცხვილით...

შემდეგ ავტორი აღწერს ამქვეყნიურ მშვენიერებას, გვეუბნება, რომ „ამ მინდორში ყვავილები / მდულარესავით მოიფრქვევიან, / პატარ-პატარა / საყვარელი გეიზერები...“, წერს ასეთ სტრიქონებს: „მე ეს მდულარე წყაროსთვლებიც / ყველაფრად მყოფნის, / პოეზია, / ახლანდელიდან რომ მოჩუხჩუხებს, / ემბაზივით, / ნუთიერესავით დაიპირისპირებული, რომ ეს ჩვეულებრივი ანტირელიგიური ლექსია, იბადება განწყობილება, რომ ავტორი ათეისტურად წერს, რომ მომავალი სულიერი სამყაროს იმედით კი არ უნდა სულდგმულობდე ადამიანი, არამედ დღევანდელი უნდა დატკბეს, ამქვეყნიური სამყაროთი უნდა გაიხაროს, რომ მიწიერი სამოთხე უნდა არჩიოს ზეციურ ედემზე ოცნებას და რომ ადამიანისათვის ამ მიწიერი ნეტარების მინიჭება მხოლოდ პოეზიას ძალუძს; მაგრამ, ვინც გიორგი ლოპაშინიძის კარგად იცნობს, მან მშვენიერად იცის, რომ ავტორი არც ათეისტი, არც გასული საუკუნის 20-იან წლებში არსებულ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის იდეებით“ ყოფილა ოდესმე გატაცებული და არც „მეცნიერული კომუნიზმის“ მსოფლმხედველობას დაუპყრია მისი ყურადღება; ვინც ახლოდან იცნობს ავტორს და მის შემოქმედებას, ისიც იცის, რომ შინაგანად რელიგიური ადამიანია ამ სტრიქონების ავტორი და ლექსის კითხვისას მოელის, რომ სადმე რაიმე ისეთს იტყვის, რომ თავიდან შექმნილი შთაბეჭდილება გაქარწყლდეს და, როცა ბოლო ტაქტებს გაეცნობა მკითხველი, დარწმუნდება, რომ მართლაც ასე ხდება, გაიგებს, რომ არ არის პოეზია და რელიგია ამ ლექსში ერთმანეთთან დაპირისპირებული, პირიქით — მსგავსებას ხედავს მათ შორის პოეტი, ლექსი ასე სრულდება:

ის არ მატყუებს
და ცხოვრებას კი არ მივადებს,
პირდაპირ და ახლანდელში
თქმა ემარჯვება...

მეუბნება:
ვისაც ელი,
უთუოდ
მოვა,
ოღონდ ახლა — არა,
ახლა ნუ ელოდები:
მერე,
მერე,
მერე,

როცა თვალებს დახუჭავ,
როცა სულერთი გაგიხდება,
მოვა თუ არა...
როცა იონჯა აყვავდება უდაბნოებში...
ასე რომ, პოეტის თანახმად, პოეზიაც მომავალში გვირდება ბედნიერების ნიაღვრის შესვლას, ისიც ოცნების სამყაროა და, ფაქტობრივად, ამ მხრივ, არც განსხვავდება რელიგიისგან, მორწმუნე სულიერ ედემს ელის და პოეზიით შთაგონებულს კი „უდაბნოებში იონჯას აყვავების იმედი ასაზრდოებს“, მორწმუნე თუ სულიერად გრძნობს ანგელოზთა ნიაღვრს და მერმისში მათ გვერდით დავანების იმედი აქვს, პოეტს ის ცეცხლი ახარებს, ის „ყვავილები ანიჭებენ ბედნიერებას, რომლებიც ამ მინდორში მოიფრქვევიან მდულარესავით“, მაგრამ საბოლოოდ პოეტიც იმავე პასუხს ღებულობს პოეზიისგან, რასაც მორწმუნე — რელიგიისგან, — პოეზიაც იმავეს ეუბნება ბედნიერებაზე მეოცნებე ადამიანს: — „მერე, / მერე, / როცა თვალებს დახუჭავ“... გიორგი ლოპაშინიძე ამ ლექსით რელიგიას კი არ უპირისპირდება, არამედ ერთ პლანში განიხილავს პოეზიასა და რელიგიას, გვეუბნება, რომ მსგავსად იქცევა ორივე, გვაგებინებს, რომ ეს ნუთიერი სოფელი საბოლოო ნეტარებას მანიჭებს ვერ მანიჭებს ადამიანს და ისევე მომავლისაკენ რწმენა არის ის, რამაც უნდა გვასაზრდოოს სულიერად და გაგვამღებინოს ამ ქვეყანაში, ვერც პოეზია და ვერ რელიგია ვერ მოგვითმის ნუთი-სოფელში ნეტარებას და ისევე მომავლის რწმენისაკენ უნდა აღვივს ჩვენი არსება, რათა ცხოვრება შევძლოთ...

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მივცემ თავს უფლებას და ვიტყვი, რომ ანტირელიგიური კი არა — სწორედ რომ რელიგიური ლექსია ჩვენ წინაშე, ოღონდ ეს რელიგიური „ქადაგება“ არა ტრადიციული ფორმით, არამედ ორიგინალურად ნარმოდგენილი, მთელი ლექსის სათქმელის სწორად გააზრების შემდეგ უკვე სრულიად განსხვავებული სახით აღიქმება ლექსის პირველი სტრიქონები: — „პოეზია რელიგია კი არ არის, რომ მოგატყუოს“ — ვხედავთ, რომ შინაგანი ირონია აქ, ვე ვიტყვი, რომ ეს სიტყვები ერთგვარი „შეპასუხება“ არის ათეისტებთან, კამათია მათთან, ვისაც მი-აჩნია, რომ „რელიგია გვატყუებს“, რომ „ხალხის ოპიუმია“ იგი და სხვადასხვა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტი იმ ადამიანთან ჩართულა კამათში, ვინც ეუბნება, რომ „იტყუება რელიგია“ და მხოლოდ პოეზიაა ჭეშმარიტება, ირონიული განწყობილებით ჰყვება მას საუბარში, თითქოს ასე პასუხობს — „კარგი ბატონო, პოეზია არ გვატყუებს, მისი ყვავილები მდულარესავით გვეფრქვევიან და გვანეტარებენ“ და ბოლოს კი, თითქოს, მოულოდნელად მწარე სიმართლეს მიახლის ამ მოკამათეს — პოეზიისგანაც მხოლოდ იმედებს მი-იღებ, ეს „რელიგიაც“ იმავეს გეტყვის, რასაც სხვა გეუბნება: „მერე, / მერე, / მერე, / როცა თვალებს დახუჭავ“...

გიორგი ლოპაშინიძე, შესაძლოა, განკითხვა მოუნდომონ ისეთმა მორწმუნეებმა, რომლებიც ზედაპირულად წაიკითხავენ ამ ლექსს, ამიტომ, ვიმეორებთ, სწორედაც რომ რელიგიური ლექსია ჩვენ წინაშე, — ორიგინალური ფორმით მონოდებულ... რელიგია და პოეზია ერთ კონტექსტშია წარმოდგენილი, ერთ დაუპირისპირებელ განწყობილებად ნარმოდგენილი, ჭეშმარიტი პოეზია რომ რელიგიის ნაწილი ხდება ხოლმე და სულის მაცოცხლებელი საზრდაა, ეს უკვე ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ბევრჯერ გამეორება აღარ სჭირდება, რელიგიის განწყობილი ნაწილია ჰიმნოგრაფია, დანტეს პოეზია და, ყველაფერს რომ თავი დავეანებოთ, დავითის ფსალმუნები (დავით მეფესალმუნე ერთდროულად დიდი წინასწარმეტყველაცაა და დიდი პოეტიც, ალბათ სწორედ ფსალმუნებში ჩანს ყველაზე უკეთ რელიგიისა და პოეზიის განწყობილობაც და სიახლოვეც...), პოეზია რომ რელიგიისავით მართლა იმედით ავსებს ადამიანს და სიცოცხლის ძალას აძლევს, არც ამას სჭირდება ბევრჯერ გამეორება, პოეზიას შეუძლია, რომ ანგელოზთა

„პოეზია — ჩემი რელიგია“

როცა თვალებს დახუჭავ,
როცა სულერთი გაგიხდება,
მოვა თუ არა...

როცა იონჯა აყვავდება უდაბნოებში...
ასე რომ, პოეტის თანახმად, პოეზიაც მომავალში გვირდება ბედნიერების ნიაღვრის შესვლას, ისიც ოცნების სამყაროა და, ფაქტობრივად, ამ მხრივ, არც განსხვავდება რელიგიისგან, მორწმუნე სულიერ ედემს ელის და პოეზიით შთაგონებულს კი „უდაბნოებში იონჯას აყვავების იმედი ასაზრდოებს“, მორწმუნე თუ სულიერად გრძნობს ანგელოზთა ნიაღვრს და მერმისში მათ გვერდით დავანების იმედი აქვს, პოეტს ის ცეცხლი ახარებს, ის „ყვავილები ანიჭებენ ბედნიერებას, რომლებიც ამ მინდორში მოიფრქვევიან მდულარესავით“, მაგრამ საბოლოოდ პოეტიც იმავე პასუხს ღებულობს პოეზიისგან, რასაც მორწმუნე — რელიგიისგან, — პოეზიაც იმავეს ეუბნება ბედნიერებაზე მეოცნებე ადამიანს: — „მერე, / მერე, / როცა თვალებს დახუჭავ“... გიორგი ლოპაშინიძე ამ ლექსით რელიგიას კი არ უპირისპირდება, არამედ ერთ პლანში განიხილავს პოეზიასა და რელიგიას, გვეუბნება, რომ მსგავსად იქცევა ორივე, გვაგებინებს, რომ ეს ნუთიერი სოფელი საბოლოო ნეტარებას მანიჭებს ვერ მანიჭებს ადამიანს და ისევე მომავლისაკენ რწმენა არის ის, რამაც უნდა გვასაზრდოოს სულიერად და გაგვამღებინოს ამ ქვეყანაში, ვერც პოეზია და ვერ რელიგია ვერ მოგვითმის ნუთი-სოფელში ნეტარებას და ისევე მომავლის რწმენისაკენ უნდა აღვივს ჩვენი არსება, რათა ცხოვრება შევძლოთ...

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მივცემ თავს უფლებას და ვიტყვი, რომ ანტირელიგიური კი არა — სწორედ რომ რელიგიური ლექსია ჩვენ წინაშე, ოღონდ ეს რელიგიური „ქადაგება“ არა ტრადიციული ფორმით, არამედ ორიგინალურად ნარმოდგენილი, მთელი ლექსის სათქმელის სწორად გააზრების შემდეგ უკვე სრულიად განსხვავებული სახით აღიქმება ლექსის პირველი სტრიქონები: — „პოეზია რელიგია კი არ არის, რომ მოგატყუოს“ — ვხედავთ, რომ შინაგანი ირონია აქ, ვე ვიტყვი, რომ ეს სიტყვები ერთგვარი „შეპასუხება“ არის ათეისტებთან, კამათია მათთან, ვისაც მი-აჩნია, რომ „რელიგია გვატყუებს“, რომ „ხალხის ოპიუმია“ იგი და სხვადასხვა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტი იმ ადამიანთან ჩართულა კამათში, ვინც ეუბნება, რომ „იტყუება რელიგია“ და მხოლოდ პოეზიაა ჭეშმარიტება, ირონიული განწყობილებით ჰყვება მას საუბარში, თითქოს ასე პასუხობს — „კარგი ბატონო, პოეზია არ გვატყუებს, მისი ყვავილები მდულარესავით გვეფრქვევიან და გვანეტარებენ“ და ბოლოს კი, თითქოს, მოულოდნელად მწარე სიმართლეს მიახლის ამ მოკამათეს — პოეზიისგანაც მხოლოდ იმედებს მი-იღებ, ეს „რელიგიაც“ იმავეს გეტყვის, რასაც სხვა გეუბნება: „მერე, / მერე, / მერე, / როცა თვალებს დახუჭავ“...

გიორგი ლოპაშინიძის პოეზიისათვის ერთი რამ არის დამახასიათებელი, — პოეტი ძალიან სუფთა, ნამდვილი და პირდაპირი, გულწრფელია; შეიძლება ასეც ითქვას — ქართული კაცის სიაღვრესაც ვხედავთ მის ლექსებში და ასეთი უბრალოება კი იმ სულიერ სანყისებს აგრძობინებს ადამიანს, რომელშიც არაფერი იმალება, რომელშიც ადამიანი თავისი ნამდვილი სულიერი სახით ჩნდება... გიორგი ისე წერს, გეგონება, სულიერად მიახლება იმ სამყაროს, რომელშიც ანგელოზები და მართალი ადამიანები ცხოვრობენ, რომელშიც არაფერი იმალება, პოზას, ნიღაბს, ძალა ეკარგება და ადამიანები გაშიშვლებული სულებით არიან წარმდგარნი ღვთისა და ერთმანეთის წინაშე...


პოეტი უპირველესად სწორედ ამით გვაგრძობინებს სულიერ ნიაღვრს, ეს ნეტარებასაც განაცდევინებს ადამიანს, რადგან სულიერი სამყაროს რეალურობას უფრო ძალუძს ვგრძობთ და იქნებ ზოგიერთ შემთხვევაში შინაგანი შიშის შეგრძობასაც ბადებს, რადგან შეგვახსენებს, რომ ერთ დროს ყველას მოგვინევს იმ ნიაღვრში მოხვედრა, ვერაფერს რომ ვერ დამალავს ადამიანი... გიორგი ლოპაშინიძე ნიღბის ჩამოშორებას ცდილობს და ასე წერს.

უპირველესი, რაც პირადად მე მის ლექსებში მხვდება თვალს, ის გულწრფელობაა, რომლის მიღწევა ძალიან ძნელია და რომლის ძალა მხოლოდ შინაგანად მართლად და პატიოსანად ადამიანებს შესწევთ, ნიღბის გარეშე წერა ვისაც სწავლია, ყველამ უნდა გადადგას ნაბიჯი პატიოსნებისაკენ, თორემ, როგორი ორიგინალური შედარება თუ მეტაფორაც უნდა მოიფიქროს, ისე ნამდვილი ხელოვნება ვერ შეიქმნება...

გიორგი ლოპაშინიძე უმეტეს შემთხვევაში ურთიმო ლექსით გვესაუბრება და ეს კი უფრო ადვილად ამყვავებს ადამიანის სულს, რითმას და მუსიკას სხვა მხარეს გადააქვს მკითხველის ყურადღება, ურთიმოდ წერის დროს კი უფრო ამაკრად ჩნდება ავტორის სული, აქ ადვილად არაფერი იმალება და, თუ სუფთა არ არის ადამიანი შინაგანად, ის ხშირ შემთხვევაში ვერც გაბედავს ურთიმოდ წერას... გიორგი ისე წერს, გგონია, ჩვეულებრივ, ყოფით ცხოვრებაში, ადამიანურ ურთიერთობებში ამკვიდრებს პოეზიას, ხან თავის მეგობარ — თაზო ვაჩნაძეს გვაცნობს ამ სიტყვებით: — „ისეთი კარგია ჩემი მეგობარი, / ისეთი მშვიდი / და არაამქვეყნიური, როგორც / სიტყვები: / „ბედნიერი სიყვარული“ (ძალიან გულწრფელი რომ არ იყო ადამიანი, ასე ვერ დანერ)... ხან თავის მასწავლებელსა და უფროს კოლეგას: ნინო კახიანი გვესაუბრება ამგვარად ამჯერად უკვე რითმიანი ლექსით: „იცით რა არის, ბარბოტი? / არა? / ცოდნაც არ ვარგა უხვი და ჭარბი, / მუსიკალური არის საკრავი, / მორკალულია ვით თვარის ნარბი. / სულია ყველა შეყვარებულის, /

ოსტატი ფარულ სხივების გაბმის, / იქით სხივია, / შუაში ორი გულია ბაზმის, / ბარბოტი კენესის და უცხოოდ ლამაზს / ჩვენი ფრთხილა გულების ამბავს“ და ამ სტრიქონებით ხატავს სულიერ და ფიზიკურ მშვენიერებას, რომელიც მუსიკასავით იღვრება ადამიანისგან; ვისაც ნინო კახიანთან ჰქონია ურთიერთობა (ჩემი სტუდენტობისდროინდელი უფრო ქალბატონი ფლორა ანთიძის სახელითა და გვართი რომ ვიხსენებდით), დამეთანხმება, რომ მის დასახატავად მართლაც ძალზე ზუსტად არის მოძებნილი ეს სიტყვა „ბარბოტი“, რომელიც მორკალურ მთარეუსაც ავონებს პოეტის და რომლის თბილ ხმას აღმოსავლურ ბგერათა სამყაროშიც გადაჰყავს მსმენელი და ასე უხდება ქალბატონი ნინოსათვის, არაბული ენის მასწავლებლისა და თავისი მშვენიერებითა და სისადავით ცნობილი ადამიანისადმი, მიძღვნილ ლექსს.

სხვა ლექსში ბორენა ჯაჭვლიანს იგონებს გიორგი ლოპაშინიძე და ისევე ძალიან გულწრფელი სიტყვები, ამჯერად უკვე მეგობრის დატირება გვესმის ლექსიდან: „ჩემს მეგობარს კი სულ არავინ არ დარჩენია... / არც და ტიროდა / და არც ვინმე ნათესავთაგან. / რომელიც შეშლილი პოეტები, / რომელთაგან ერთმა სულაც ასე იტირა: / „სადღა ვნახავ შენს ბრიალა ლამაზ თვალებსო“;



სიზმრის ნანგრევები
გიორგი ლოპაშინიძე

სხან თავის მეგობარს ეკამათება, თითქოს ეჩხუბება კიდევ, იაგო ხეიჩიას, რომელმაც, როგორც ჩანს, სოფელში მშობლიური სახლის გაყიდვაზე ჩამოუგდო სიტყვა: „ეს ხეები მამაჩემის დარგულია, / ყვავილები დედაჩემის გახარებული / და ვერავინ ერთ ხესაც კი ვერ გადარგავს / ჩემი მიწიდან... / სინამდვილეში, / აქ ყველა ხე არის ტაძარი, / სადაც ღამით ყვერი ლოცულობს / და თავზე ჯილად ეხურებათ / ვარსკვლავების კანდელაბრები... / არც გასაბერი ტარების მწამს, / არც რობოტი მღვდლების... / მე მწამს მხოლოდ ცოცხალი ღმერთი, / რომელიც ზამთრის ჯვარზე გაკრული, / გაზაფხულზე ბაიებად ამოანათებს / და ენძელების ხელს დამიქნევს / მეგობარივით...“, ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ რელიგიაში ფარისევლობა და მისი უსიცოცხლოდ აღქმა არ მოსწონს და ნამდვილ რელიგიურობას, რომელიც, გულმხურვალედ აღსრულებული ლიტურგიის გარდა, ყოველდღიური უბრალო ურთიერთობებში მყვანდება, არაფერს ერჩის გიორგი, ერჩის კი არა, სწორედ ეს არის მისი სიცოცხლე, ამ ჩვეულებრივი ურთიერთობების დროს მოდის ადამიანთან ხან ღმერთი და ხანაც — ემბაზი და უსწინის მეგობარს, რომ არ დათმობს, არ გაყიდის იმ სახლს, რომელშიც გაიზარდა, მერე კი იმასაც ვხედავთ, რომ მეგობარიც ის არის, ვინც არ იყიდება, არ სხვისდება, არ დაითმობა იმ ადამიანის მიერ, ვისთანაც მართლა ახლო ღმერთი: „შენიცა მწამს, / რადგან ჩემი მეგობარი ხარ, / ამიტომაც ვერ გაგყიდი, / რადგან მუდამ არის რაღაც, / რასაც ფასი არ დაედება, / არ გასხვისდება, / არ გაჩუქდება / ამ მინასავით...“;

მიშო დადიანს მიმართავს პირდაპირ გულიდან მომავალი, ძალიან უბრალო, სიტყვებით გადაუჭარბებული ფრაზებით: „ხანდახან ასე მგონია, / რომ ჩემი შვილი ხარ / და მინდა, გითხრა: / ხეები ტოტებს რომ გიქნევენ, / თავისაკენ მივიხმობენ, / რომ მოგეფერონ...“;

ეკა კვიციანს ასე უხასიათებს თავს: „მთასავით ვარ, / ჩემთან ყოფნა მოსანყენია. / დიდხანს ცხოვრება ჩემში — / თითქმის შეუძლებელი. / მხოლოდ სეზონზე მანყელებიან / რამდენიმე დღით, / აპარატებს აჩხაკუნებენ, / სელფისათვის იპრანჭებიან / ვნებიანად თვალმინაბულ- / ტურმონკურული... / [...] და შენ / როგორ ხარ / ერთადერთი, / უშაერობას გამოქცეული, / ტურისტისგან რომ არ ამოსულხარ, / ჰაერს დაეძებ / და ამბობ: / არსად აღარ წავალ! / მე შენთან ვრჩები!“ ილია ჭავჭავაძისეული „გოეთესავით“ „მიუნდომელი მთა“ ნამდვილად არ არის გიორგი, — არათუ მიუნდომელია, — თვისობისადამიანებთან, ლექსებით, თავისი კრებულთა მოდის მათთან და უბრალოდ, პოზის გარეშე, მართლა პოეტური ურთიერთობით ცდილობს ჩვენთან საუბარს, პოეზია მისთვის მხოლოდ შორეულ სფეროებში ქროლვა არაა — ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობაც არის იგი მისთვის და

ოსტატი ფარულ სხივების გაბმის, / იქით სხივია, / შუაში ორი გულია ბაზმის, / ბარბოტი კენესის და უცხოოდ ლამაზს / ჩვენი ფრთხილა გულების ამბავს“ და ამ სტრიქონებით ხატავს სულიერ და ფიზიკურ მშვენიერებას, რომელიც მუსიკასავით იღვრება ადამიანისგან; ვისაც ნინო კახიანთან ჰქონია ურთიერთობა (ჩემი სტუდენტობისდროინდელი უფრო ქალბატონი ფლორა ანთიძის სახელითა და გვართი რომ ვიხსენებდით), დამეთანხმება, რომ მის დასახატავად მართლაც ძალზე ზუსტად არის მოძებნილი ეს სიტყვა „ბარბოტი“, რომელიც მორკალურ მთარეუსაც ავონებს პოეტის და რომლის თბილ ხმას აღმოსავლურ ბგერათა სამყაროშიც გადაჰყავს მსმენელი და ასე უხდება ქალბატონი ნინოსათვის, არაბული ენის მასწავლებლისა და თავისი მშვენიერებითა და სისადავით ცნობილი ადამიანისადმი, მიძღვნილ ლექსს.

სხვა ლექსში ბორენა ჯაჭვლიანს იგონებს გიორგი ლოპაშინიძე და ისევე ძალიან გულწრფელი სიტყვები, ამჯერად უკვე მეგობრის დატირება გვესმის ლექსიდან: „ჩემს მეგობარს კი სულ არავინ არ დარჩენია... / არც და ტიროდა / და არც ვინმე ნათესავთაგან. / რომელიც შეშლილი პოეტები, / რომელთაგან ერთმა სულაც ასე იტირა: / „სადღა ვნახავ შენს ბრიალა ლამაზ თვალებსო“;

სხან თავის მეგობარს ეკამათება, თითქოს ეჩხუბება კიდევ, იაგო ხეიჩიას, რომელმაც, როგორც ჩანს, სოფელში მშობლიური სახლის გაყიდვაზე ჩამოუგდო სიტყვა: „ეს ხეები მამაჩემის დარგულია, / ყვავილები დედაჩემის გახარებული / და ვერავინ ერთ ხესაც კი ვერ გადარგავს / ჩემი მიწიდან... / სინამდვილეში, / აქ ყველა ხე არის ტაძარი, / სადაც ღამით ყვერი ლოცულობს / და თავზე ჯილად ეხურებათ / ვარსკვლავების კანდელაბრები... / არც გასაბერი ტარების მწამს, / არც რობოტი მღვდლების... / მე მწამს მხოლოდ ცოცხალი ღმერთი, / რომელიც ზამთრის ჯვარზე გაკრული, / გაზაფხულზე ბაიებად ამოანათებს / და ენძელების ხელს დამიქნევს / მეგობარივით...“, ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ რელიგიაში ფარისევლობა და მისი უსიცოცხლოდ აღქმა არ მოსწონს და ნამდვილ რელიგიურობას, რომელიც, გულმხურვალედ აღსრულებული ლიტურგიის გარდა, ყოველდღიური უბრალო ურთიერთობებში მყვანდება, არაფერს ერჩის გიორგი, ერჩის კი არა, სწორედ ეს არის მისი სიცოცხლე, ამ ჩვეულებრივი ურთიერთობების დროს მოდის ადამიანთან ხან ღმერთი და ხანაც — ემბაზი და უსწინის მეგობარს, რომ არ დათმობს, არ გაყიდის იმ სახლს, რომელშიც გაიზარდა, მერე კი იმასაც ვხედავთ, რომ მეგობარიც ის არის, ვინც არ იყიდება, არ სხვისდება, არ დაითმობა იმ ადამიანის მიერ, ვისთანაც მართლა ახლო ღმერთი: „შენიცა მწამს, / რადგან ჩემი მეგობარი ხარ, / ამიტომაც ვერ გაგყიდი, / რადგან მუდამ არის რაღაც, / რასაც ფასი არ დაედება, / არ გასხვისდება, / არ გაჩუქდება / ამ მინასავით...“;

მიშო დადიანს მიმართავს პირდაპირ გულიდან მომავალი, ძალიან უბრალო, სიტყვებით გადაუჭარბებული ფრაზებით: „ხანდახან ასე მგონია, / რომ ჩემი შვილი ხარ / და მინდა, გითხრა: / ხეები ტოტებს რომ გიქნევენ, / თავისაკენ მივიხმობენ, / რომ მოგეფერონ...“;

ეკა კვიციანს ასე უხასიათებს თავს: „მთასავით ვარ, / ჩემთან ყოფნა მოსანყენია. / დიდხანს ცხოვრება ჩემში — / თითქმის შეუძლებელი. / მხოლოდ სეზონზე მანყელებიან / რამდენიმე დღით, / აპარატებს აჩხაკუნებენ, / სელფისათვის იპრანჭებიან / ვნებიანად თვალმინაბულ- / ტურმონკურული... / [...] და შენ / როგორ ხარ / ერთადერთი, / უშაერობას გამოქცეული, / ტურისტისგან რომ არ ამოსულხარ, / ჰაერს დაეძებ / და ამბობ: / არსად აღარ წავალ! / მე შენთან ვრჩები!“ ილია ჭავჭავაძისეული „გოეთესავით“ „მიუნდომელი მთა“ ნამდვილად არ არის გიორგი, — არათუ მიუნდომელია, — თვისობისადამიანებთან, ლექსებით, თავისი კრებულთა მოდის მათთან და უბრალოდ, პოზის გარეშე, მართლა პოეტური ურთიერთობით ცდილობს ჩვენთან საუბარს, პოეზია მისთვის მხოლოდ შორეულ სფეროებში ქროლვა არაა — ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობაც არის იგი მისთვის და

ოსტატი ფარულ სხივების გაბმის, / იქით სხივია, / შუაში ორი გულია ბაზმის, / ბარბოტი კენესის და უცხოოდ ლამაზს / ჩვენი ფრთხილა გულების ამბავს“ და ამ სტრიქონებით ხატავს სულიერ და ფიზიკურ მშვენიერებას, რომელიც მუსიკასავით იღვრება ადამიანისგან; ვისაც ნინო კახიანთან ჰქონია ურთიერთობა (ჩემი სტუდენტობისდროინდელი უფრო ქალბატონი ფლორა ანთიძის სახელითა და გვართი რომ ვიხსენებდით), დამეთანხმება, რომ მის დასახატავად მართლაც ძალზე ზუსტად არის მოძებნილი ეს სიტყვა „ბარბოტი“, რომელიც მორკალურ მთარეუსაც ავონებს პოეტის და რომლის თბილ ხმას აღმოსავლურ ბგერათა სამყაროშიც გადაჰყავს მსმენელი და ასე უხდება ქალბატონი ნინოსათვის, არაბული ენის მასწავლებლისა და თავისი მშვენიერებითა და სისადავით ცნობილი ადამიანისადმი, მიძღვნილ ლექსს.

სხვა ლექსში ბორენა ჯაჭვლიანს იგონებს გიორგი ლოპაშინიძე და ისევე ძალიან გულწრფელი სიტყვები, ამჯერად უკვე მეგობრის დატირება გვესმის ლექსიდან: „ჩემს მეგობარს კი სულ არავინ არ დარჩენია... / არც და ტიროდა / და არც ვინმე ნათესავთაგან. / რომელიც შეშლილი პოეტები, / რომელთაგან ერთმა სულაც ასე იტირა: / „სადღა ვნახავ შენს ბრიალა ლამაზ თვალებსო“;

სხან თავის მეგობარს ეკამათება, თითქოს ეჩხუბება კიდევ, იაგო ხეიჩიას, რომელმაც, როგორც ჩანს, სოფელში მშობლიური სახლის გაყიდვაზე ჩამოუგდო სიტყვა: „ეს ხეები მამაჩემის დარგულია, / ყვავილები დედაჩემის გახარებული / და ვერავინ ერთ ხესაც კი ვერ გადარგავს / ჩემი მიწიდან... / სინამდვილეში, / აქ ყველა ხე არის ტაძარი, / სადაც ღამით ყვერი ლოცულობს / და თავზე ჯილად ეხურებათ / ვარსკვლავების კანდელაბრები... / არც გასაბერი ტარების მწამს, / არც რობოტი მღვდლების... / მე მწამს მხოლოდ ცოცხალი ღმერთი, / რომელიც ზამთრის ჯვარზე გაკრული, / გაზაფხულზე ბაიებად ამოანათებს / და ენძელების ხელს დამიქნევს / მეგობარივით...“, ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ რელიგიაში ფარისევლობა და მისი უსიცოცხლოდ აღქმა არ მოსწონს და ნამდვილ რელიგიურობას, რომელიც, გულმხურვალედ აღსრულებული ლიტურგიის გარდა, ყოველდღიური უბრალო ურთიერთობებში მყვანდება, არაფერს ერჩის გიორგი, ერჩის კი არა, სწორედ ეს არის მისი სიცოცხლე, ამ ჩვეულებრივი ურთიერთობების დროს მოდის ადამიანთან ხან ღმერთი და ხანაც — ემბაზი და უსწინის მეგობარს, რომ არ დათმობს, არ გაყიდის იმ სახლს, რომელშიც გაიზარდა, მერე კი იმასაც ვხედავთ, რომ მეგობარიც ის არის, ვინც არ იყიდება, არ სხვისდება, არ დაითმობა იმ ადამიანის მიერ, ვისთანაც მართლა ახლო ღმერთი: „შენიცა მწამს, / რადგან ჩემი მეგობარი ხარ, / ამიტომაც ვერ გაგყიდი, / რადგან მუდამ არის რაღაც, / რასაც ფასი არ დაედება, / არ გასხვისდება, / არ გაჩუქდება / ამ მინასავით...“;

მიშო დადიანს მიმართავს პირდაპირ გულიდან მომავალი, ძალიან უბრალო, სიტყვებით გადაუჭარბებული ფრაზებით: „ხანდახან ასე მგონია, / რომ ჩემი შვილი ხარ / და მინდა, გითხრა:

ამ პოეზიის დამკვიდრებას ესწრაფის ცხოვრებაში;

შზია კოჭლავაშვილი, შესაძლოა, ნანახიც არ ჰყავდეს მკითხველს, მაგრამ, როცა გიორგი ლომიანიძის ამ სიტყვებს წაიკითხავს: „წუხელ, სიზმრის ფანჯარა რომ გამოვადე, / იქიდან შენ შემოხვედი / სუფთა პაერივით...“, ერთბაშად კეთილად განწყობა ლექსის ადრესატის მიმართ, ამ ლექსით უცბად იმასაც ხვდები, თუ რა უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, „სიზმრის ნანგრევებში“ რომ ჰქვია კრებულს, — სიზმრისეულ ხილვათაგან ზოგ სურათს მძაფრი კვალი დაუტოვებია პოეტის სულში, იმასაც ფიქრობ, რომ ძალიან დიდი და რეალურია ეს პოეტური სამყარო, ნალკოტები და ულამაზესი შენობები დგას მასში და აქ კი, ამ ფიზიკურ ქვეყანაში ცხოვრებისას, აქ გამოვლინებული, თუ პირიქით, ნუთისოფლისეულ მირაჟებში ჩაძინებული, მხოლოდ ცალკეული ნამსხვრევები გვახსოვს იმ სუფთა წილისა, „სიზმრად“ რომ ესახება პოეტს და სწორედ ეს „ნამსხვრევები“, ეს „ნანგრევები“ ქმნის და აშენებს ამ ქვეყანაში, ამ ნუთისოფელში, პატარ-პატარა შენობებს, რომლებსაც პოეტური კრებულები ჰქვია... ამ წიგნის სათაურის ახსნა სხვაგვარადაც შეიძლება და პოეზიის იდუმალება, ცხადია, ისიც არის, რომ ერთმნიშვნელოვნად ვერ განიმარტება მასში ყოველი...

ზაბინე შიფერს ასე მიმართავს: „მე მიყვარს შენი გერმანია... / მთელი ერთი თვითმფრინავი / პოეტები ჩამოგვიყვანე... / ვინც შენ გინდა, ამოირჩიე, / მზე-სუმზირავ, / რაინის პირას ამოსულო“... და ამ ლექსის ადრესატში სულ რამდენიმე სიტყვიდან უკვე ვხედავ ადამიანს, რომელიც თურმე სანდოა — მას ჭეშმარიტი და ყალბი პოეზიის გარჩევა ძალუბი, ვხედავ, რომ ძალიან უყვარს იგი ლექსის ავტორს, თითქოს აღმოსავლური, მუხამბაზური კილოც კი დაჰკრავს ამ სიტყვებს: „მზე-სუმზირავ, / რაინის პირას ამოსულო“, მეჩვენება, რომ „პირაზის ვარდი“, „რაინის მზესუმზირით“ შეუცვლია აღმოსავლური ლექსები ნასაზრდოებ პოეტს და იმ ქართული კაცის ხმაც მომესმის, რომელსაც ძალიან გულლიად მეტყველების უფლებას აძლევს სხეულში გამჯდარი ეს პირდაპირი და ძალიან თამამი ქართული სული, რომელიც ზოგჯერ თავისი ალალი ბუნებრივად გამოდინარე ისე გახსნილად მეტყველებს, რომ ბევრს ალბათ ეშინია კიდევ — ჩემზეც არ დანეროს ლექსი და რაიმე ისეთი არ მითხრას, ან საქებარი, ან საძაგებელი, რომ მერე უხერხულად ვიგრძნო თავიო...

ორინესათვის, ანუ მეუღლისთვის, მიძღვნილია ლექსი, რომელსაც „პეპლები-ის სასაფლაო“ ჰქვია — ეს ლექსიც ქართული სილალით იწყება და იუმორის განწყობით ავსებს ადამიანს: „როგორ მომწონდა ეს ჭალი, / რაც ცოლმა იყიდა / და ოთახში თავის ხელით ჩამომიკიდა, / რადგან ამ მხრივაც, — ვალიარებ, — ცუდი ქმარი ვარ, / უფრო მეტიც, საერთოდაც ხელთუპყარი ვარ, / სახლში ვერც ონკანს შევაკეთებ / და ვერც კარადას, / გულით კი მიზნა გავაკეთო საქმე, / არადა, / ხელი ვერა ცნობს კალმის გარდა / ვერცერთ იარაღს“, შემდეგ ამ ლექსში სიტყვები ნელ-ნელა მეტაფორულ მნიშვნელობას იძენენ, სევდის შუქ-ჩრდილებიც ჩნდება და მკითხველს არაერთგვაროვანი განზოგადებისათვის განაწყობენ: „მაგრამ წუხელის შევხედე და აღმოვაჩინე, / რომ ის / პეპლების სასაფლაოდ გადაქცეულა... / და უკვე ჭალი კი არა და / მეტაფორაა / ჩემი გულია“... და პოეტი გვეუბნება, რომ მისი გული მუდამ ბნელში ანთია, რომ ამ გულს ბრიყვი პეპლებივით თავს ევლებიან ოცნებები და ამაოდ იხოცებიან, შემდეგ წერს, რომ „საკუთარ სულში ჩაძირული“ ვერც კი ამჩნევს ამ ოცნებებს ცეკვასა და „გართიგართიას“ და ბოლოს ასე ამთავრებს ლექსს: „მაშინ, / როცა მე / მზად ვარ, / ქურჩაში, / ნაკვიანვე მგ ზავს თუ დასჭირდა, / ბნელში გაბმული / გადარჩენას თუკი ინატრებს, / მშველელ სინათლედ დავიღვარო / ჩემი ფანჯრიდან / და ვიყო ასე — / ამ ცხოვრების ფუჭი სინათლე...“; იქნება შთაბეჭდილება, რომ ლექსის ანალიზისას შეგვიძლია სუფიზმსა და „შამირ-ფარვა-ნიანის“ თემას მივმართოთ, თუმც თავისებური „სუფიზმი“ ჩვენ წინაშე, ვხედავთ, რომ — სინათლისაკენ ლტოლვა კი არ სპობს და ანადგურებს ამ შემთხვევაში ად-

ამიანს, არამედ თვითონ იღვრება იგი სინათლედ სხვებისთვის, სხვებს უნათებს ჩაბნელებულ გზას...

სიტყვა „ფუჭი“ ამ შემთხვევაში უფრო დაქვევება იმის მიმართ, სჭირდება თუ არა ხალხს ეს სინათლე, ეს უფრო იმ სევდისაგან გამოწვეულ სიტყვად გვესახება, რომელიც აფიქრებს ადამიანს, — „უნდა კი ვინმეს ჩემი ლექსი, ჩემი კალამი?“ და სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ავტორს მართლა ფუჭი ეგონოს თავისი საქმე, ბევრისათვის მართლა არასერიოზულობა და ბავშვური გართობაა პოეზია და, საერთოდ, სულიერი ფასეულობებით ცხოვრება და ისინი არ უსმენენ პოეტს, ან თუ უსმენენ, მხოლოდ ყალბად, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ სნობიზმიდან გამომდინარე აკეთებენ ამას, მაგრამ საბედნიეროდ, პოეტებს ნამდვილი მკითხველებიც ჰყავთ და ცხადია, არათუ ფუჭია პოეტური შემოქმედება, მის გარეშე უბრალოდ გადაგვარდებოდა ადამიანი, ადამიანურ სახეს დაკარგავდა იგი...

როგორც ითქვა, ლექსი სუფიზმთან მიმართებითაც შეიძლება იქნას განხილული, თუმცა ამ დროს არ უნდა დავავიწყდევს, რომ სუფიზმი იუმორითა და სევდით შეზავებულ სტრიქონებად გადამოიღვარა ქალაქზე... გიორგის პოეზია ფუჭი ნამდვილად არ არის — თავისი ლექსებით სევდასთან ერთად ნუგეშსაც გვრის ადამიანს, ხალხსაც მატებს მას, ამ ალალი სიტყვების კითხვისას პირადად მე ისევ რელიგიურთან მიმსგავსელი განწყობილებაც მიუფლება — ამ ლექსში გამოხატული პირდაპირობა და უბრალოება ასევე იმ სულიერ სამყაროსთან არის დაკავშირებული, რომელიც ზემოთ ვახსენე და რომელში მყოფი სულებიც, როგორც ითქვა, ვერასოდეს იფარებიან ნამდვილი სახის დამაბნელებლად... ეს ლექსი სხვაგვარადაც შეიძლება ინტერპრეტირდეს, ამის საშუალებას ყოველთვის ქმნის ნამდვილი პოეზია...

ლექსის დაბადებაზე, მის იმპულსებზე დაიწყო ზემოთ საუბარი და ახლა ვიტყვი, რომ გიორგი ლომიანიძის ზოგი ლექსი საგანზე თვალის ერთი შევლებით, ან რამდენიმე წინადადებად გაეღებოდა ფიქრით არის შექმნილი, ხან იმპრესიონისტულ ნახატს ემსგავსება, ხანაც — იაპონურ ტანკას და ჰაიკუს და, როგორც ასეთი იაპონურ პოეზიას ჩვევია, მკითხველის სულში დიდხანს რჩება იგი, ამგვარია, მაგალითად, ეს უსათაურო ლექსი: „ისე მოვიწყინე, / თითქოს გამოკეტილ სახლში / ზაფხულიდან შემთხვევით / შემორჩენილი / ანთებული / ნათურა / გადაინვა...“ ან ეს: „ღმერთო, / იქ, თხრილთან, / ჩემს უკიდურეს სიღარიბეში, / ველოსიპედი დამჩა, / ჩადი, / ამომიტანე...“ როცა შეძლებ, რომ ყოველგვარი მაღალფარდოვანების გარეშე ისე უბრალოდ მიმართო უფალს, როგორც შვილმა მამას, ეს იმას ნიშნავს, რომ სუფთა ხარ შინაგანად, აქ პოზის დაჭერას ვერ გაბედავ, აქ ვერ ითამაშებ, შენს თავთან თუ არ ხარ მართალი, მართლა ღვთის შვილად თუ არა გრძნობ თავს, ისე ვერ გაბედავ, ასე შინაურულად ელაპარაკო ღმერთს...

ერთგან ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „არ მესროლოთ! / ილია (არა) ვარ“ და ამ ხუთსიტყვიან ლექსში მთელი ტრაგიზმი იშლება მკითხველის წინაშე, გვახსენდება, რომ ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელშიც, შესაძლოა, ილია ჭავჭავაძეს ესროლონ და რომელშიც ზოგჯერ „ოსტატი უნდა იყო და ხელმოცარულად მოგკონდეს თავი“, რათა სასროლად არ გაგიმეტონ... რადგან სიტყვა „არა“ ფრჩხილებშია ჩასმული, ეს სიტყვები სხვა მნიშვნელობასაც ღებულობენ — ილიას გზით სვლა, ილიას ბაძვა რომ მიაჩნია ავტორს თავისთვის სანიშნუ-შო მაგალითად, ეს აზრიც იკითხება ამ სტრიქონში...

მოკლე ლექსების წერისას არაერთგან თითქოს უბრალოდ ხუმრობს, ერთობა კრებულის ავტორი, ასეთ განწყობასა და დიმილს ბადებს და ეს კი უშუალოდ ავსებს ამ წიგნს: მაგალითად, ხუმრობს, ხალისობს პოეტი, როცა ასეთ ლექსებს გვინერს: „რიხით მოსული / გაისტუმრეს /

რიხინ-რიხინით...“ ანდა ეს ლექსი ვნახოთ: „ტაბუ“: „აი, ბაბუ, / ეს არის / ტაბუ!“ აქ უბრალოდ უნდა გაიღიმო, გახალისდე და მერე, თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია სემანტიკურ სივრცეებშიც დაიწყო წიაღსვლა და დაფიქრდე — რაიმე სხვა სათქმელი ხომ არ ისმის ამ ფრაზაში ხუმრობის მიღმა... მაგალითად, ეს „აი, ბაბუ, ეს არის ტაბუ“ — ნამდვილად არ არის სიტყვებით მხოლოდ ფონგლორობა — თავისზე ასაკით უმცროსის მიმართ უფროსი ადამიანის დამრიგებლური ხმა ისმის აქ — ის ტონი, რომელიც დასაბუთებას აღარ ნაჭიროებს, შეგიძლია ირონიაც ამოიკითხო მასში — ირონია იმ ადამიანის მიმართ, რომელიც უფროსი ასაკიდან გამომდინარე გიკრძალავს რაიმეს, მაგრამ აკრძალვის მიზეზს კი არ, თუ ვერ, გისაბუთებს, ანდა სულაც პირიქით ხდება — აქ, შესაძლოა, იმ თანამედროვე „თინეიჯერისა“ თუ ბავშვის სიტყვებს გვასმენინებს გიორგი, რომელიც უფლებდამცველის მოდური პოზიციებიდან ესაუბრება ასაკით უფროსს...

იაპონური ტანკასა და ჰაიკუსათვის დამახასიათებელი სხარტი, მოულოდნელი ფრაზა, რომელიც ულამაზეს სურათს ქმნის და თბილად გელვება სულში, გრძელ ლექსებშიც გაიფრთხილებს ხოლმე, მაგალითისათვის ამ სტრიქონებს გავიხსენებ: „ნეშოში / ნედლი ყვავილების / ლურჯი თვალებით / მიყურებს ეს ტყე — / გადმო-სული ზამთრის ზღაპრიდან, / იების და ზიზილიდან / დგას ჟრიაშული, / მორს კი მათი და / ჩამუხლულია — / უცხო მათითა... / მე კი ვდგავარ / და ვერ გავიგე, / საით გაფრინდა, / დილით რომ შაშვის ზარი მოსწყდა / ტყის გუმბათიდან“.

ახალი გაზაფხულის ტყის ნაზი ჟრიაშული ხმები გნვდება თითქოს ამ ლექსიდან და იმ მდუმარებასაც გრძნობ, ახალი გაზაფხულის ჯერ კარგად გამოუფხიზლებელ დილას რომ სჩვევია, გრძნობ, რომ ეს ჩვეულებრივი ხმაური არ არის, ამ ლექსში ხომ იები და ზიზილიები ჟრიაშულბობენ და არა — ჩიტები, ანუ ფერები შინაგან ბგერებად იღვრებიან პოეტის სმენაში, შინაგანი მუსიკა ჟღერს აქ და ტყე კი „ლურჯი თვალბობით“ იყურება, მერე ამ უცნაური ორკესტრის ერთი წევრისაკენ მიგიდის ფიქრი და ხედავ, რომ ყველა და ყველაფერი უყვარს და ახარებს პოეტს, არაფერი რჩება შეუმჩნეველი, რადგან იცის, რომ ხშირად თითოეულ დეტალში,

წერილმანშია მშვენიერება შემალული და იმ „ზარის ხმისკენ“ დადაგლის ყურადღე-ბა, რომელსაც „ტყის გუმბათიდან“ ქრთი პანია შაშვი გვანვდენდა (ყვავილებთან ერთად თურმე შაშვიც ხმიანობდა დილით), ეს უცაბედი ნათქვამი („ვერ გავიგე, / საით გაფრინდა, / დილით რომ შაშვის ზარი მოსწყდა / ტყის გუმბათიდან“) ტანკასაც მოჰგავს, მშვენიერების განცდას გიტოვებს და, თუ რელიგიური კუთხიდან შევხედავთ მთელ ლექსს, კარგად დავინახავთ, რომ სამყაროს ღვთის ქმნილებად აღიქვამს მისი ავტორი, ტყე „ტაძრად“ ქცეულა პოეტის აღქმაში და „გუმბათიც“ ჰქონია ამ „ტაძარს“, ის პატარა, მრავალ-თათვის იქნებ შეუმჩნეველი ჩიტი კი პირადად მე ტყის სამრეკლოზე ზარების მრეკავ იმ მნათედ მესახება, თავისი მოვალეობა უკვე რომ შეუსრულებია, დილის ზარების რეკვა რომ დაუმთავრებია და ახლა სადღაც სხვა საქმეზე წაბრძანებულა...

სიტყვამ მოიტანა და დაეუბრუნდები ზემოთქმულს — მას, რითაც დავიწყე საუბარი და რაც ლაიტმოტივად გაჰყვა ამ წერილს — ამ ლექსიდანაც ჩანს პოეტის შინაგანი რელიგიურობა, რომელიც, ისევე, როგორც ეს პატარა შაშვი, „ტყის სამრეკლოდან დილის ზარებს რომ დაგვირეკავს ხოლმე“, ზოგჯერ არცთუ ადვილი შესამჩნევია... რადგან შინაგანი მუსიკის ხმა ისმის ამ ლექსიდან, მასში რითმებიც ჩნდება, იქნება შთაბეჭდილება, რომ თავისთავად იბადებიან გართმული სიტყვები — წინასწარ კი არ აქვს ავტორს გადაწყვეტილი, რომ საჭიროა, რითმა მოარგოს ასეთ ლექსს — მგონია, რომ სპონტანურად, წერის დროს გრძნობს, საჭირო რომ არის აქ რითმა და მკითხველი კი იმასაც ხედავს, რომ რითმებით წერა არაა უცხო მისთვის, ვინც, გარდა პროზისა, სპარსული და არაბული პოეზიის თარგმანებით არის საყოველთაოდ ცნობილი...

ბევრის თქმა შეიძლება გიორგი ლომიანიძის ამ ახალი კრებულის შესახებ, მაგრამ ღირს გავაგრძელო გიტყვას... „სიზმრის ნანგრევები“ ჰქვია სიგნს და ჩემს გამოხმაურებასაც იმ შენობის ერთ ნაწილად წარმოვადგენ, რომელიც მკითხველთა სხვა ზეპირ თუ წერილობით გამოხმაურებათაგან აიგება და რომელთა ერთ-ერთი მთავარი სათქმელი ესეც იქნება: გმადლობთ, გიორგი, ამ ახალი ლექსებისთვის!



პირველი

ვასო გულეური

საბავშვო ავტორი, მთარგმნელი ვასო გულეური 1971 წელს გორში დაიბადა. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა კორესპონდენტად გაზეთებში „გორი“, „ახალი ეპოქა“, „ახალი ქართული გაზეთი“, „24 საათი“, 2003-2005 წლებში „ხალხის გაზეთის“ რედაქტორი იყო.

მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „დილაში“. პირველი თარგმანები — გაზეთებში „რუბიკონი“ და „მესამე გზა“. პირველი საბავშვო კრებული „მელაკუდას მალაზია“ „დიოგენემ“ 2007 წელს გამოსცა. სხვადასხვა დროს ვასო გულეურის წიგნები გამოსცეს „დიოგენემ“, „საუნჯემ“, „შემეცნებამ“, „ელფმა“, „პალიტრა L“-მა.

დღემდე ინტენსიურად იბეჭდება თარგმანებიც.

ვასო გულეური ორიგინალური ნაწარმოებებისა და თარგმანებისთვის არაერთხელ გამხდარა ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი. 2011 წელს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებულ თარგმანის კონკურსში, რომელიც სახალხო დელეგაციის „შოთაობას“ მიეძღვნა, მისმა თარგმანებმა მეორე პრემია მიიღო, ხოლო იმავე კონკურსში 2012 წელს — პირველი პრემია. უფრო ადრე, 2007 წელს, იგი გახდა ლიტერატურულ კონკურს „წეროს“ გამარჯვებული (მე-2 ადგილი) ლექსების ციკლისთვის „საბავშვო ბალი“. ცოტა ხნის წინ ვასო გულეურმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემია მიიღო.

— პრემიას გილოცავთ. ალბათ გაგახარათ ჯილდომ.

— რა თქმა უნდა, გამიხარდა ლიტერატურული პრემია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა. მაგრამ ამ სიხარულს ერთგვარად აფერმკრთალებს ის, რომ დღეს ბავშვები არ არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ბავშვების დიდ ნაწილს არა აქვს განათლების მიღების საშუალება, არა აქვთ ჯანსაღი ცხოვრების საშუალება, არ მიუწვდებიან ხელი დასვენებაზე, არიან ძალადობის მსხვერპლები ოჯახშიც, სკოლაშიც, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდანაც, რომ ხშირია მოზარდების სუიციდის შემთხვევები და კიდევ უამრავი პრობლემა. საბავშვო ლიტერატურა ბავშვებისთვის იქმნება, და თუკი ბავშვი არ იქნება ქვეყანაში დაცული, თუკი ბავშვის უფლებები დაირღვევა ყოველი ფეხის ნაბიჯზე, მაშინ ფასს კარგავს ყველაფერი. სწორედ ამიტომ მინდა ეს პრემიაც მივუძღვნა ყველა ბავშვს და ვისურვო, რომ ბავშვების უფლებები იყოს დაცული და ყველანი, განურჩევლად პროფესიისა და საქმიანობისა, ვზრუნავდეთ ამაზე.

— დიდი ხანია, წერო?

— წერით ბავშვობიდან ვწერ — მეგობრებს, დედას ვუძღვნიდი ხოლმე. დედაჩემი ახლაც ინახავს ბავშვობის დროინდელ მისალოცებს. თუმცა მაშინ მწერლობაზე მეტად მხატვრობაზე ვფიქრობდი. გორში სამხატვრო სკოლაშიც დავდიოდი. მერე თარგმანა დავიწყე. ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე რომ ვსწავლობდი, ძალიან კარგი ინგლისურის პედაგოგი გვყავდა, ქალბატონი მანანა ქველაძე, ერთხელ მოიტანა ლექსები და გვთხოვა, შინაარსობრივად გადმოგვექართულებინა. მე კი ძალიან მომიხსენია ისინი ლექსადვე მეთარგმნა. ეს იყო ედგარ ალან პოს „ელდორადო“ და ჰენრი უოდსუორთ ლონგფელოს „წვიმიანი დღე“. მომდევნო ლექსიაზე თარგმანები რომ მოვიტანე, ქალბატონ მანანას ძალიან მოეწონა და მაშინდელი გაზეთების, „რუბიკონისა“ და „მესამე გზის“, რედაქციებში გამეზავნა. პირველად სწორედ იქ დაიბეჭდა ჩემი თარგმანები. ეს დიდი სტიმული იყო — მიხაროდა, რომ მოეწონათ და თან, რომ დამიბეჭდეს. ასე დავიწყე თარგმანა. სტუდენტობისას გატაცებული ვიყავი რუსული პოეზიით, ნიკოლოზ გუმილიოვის თარგმნიდი, ჩემი თარგმანები ინტერნეტ-საიტ „გუმილიოვ.რუ“-ზეა განთავსებული. მის გარდა, ვთარგმნიდი სერგეი ესენინს,

ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, ვერონიკა ტუშნოვას, ბევრ სხვას. კარგა ხანს მთლიანად თარგმანებში ვიყავი „დაკარგული“. ბოლო წლებში ვთარგმნე რადიარდ კიპლინგის, ჯეიმს ჯოისის, ამბროზ ბირსის ლექსები. ხშირად ვთარგმნი თამარ



კოტრიკაძესთან ერთად. მასთან მუშაობა ძალიან საინტერესოა. ერთობლივად ვთარგმნით ქრისტიანე ლავანტი, ჟან ჟენე, ქრისტიან მორგენსტერნი, იოზეფ ვაინჰებერი.

— საბავშვო ლექსების წერა როდის დაიწყეთ?

— საბავშვო ლექსების წერა შვილებისთვის დაიწყე. ალბათ ბანალურია, მაგრამ საბავშვო მწერლობაში ხშირად ხდება ასე. ხომ იცით, ყველა მშობელს შვილისთვის რაღაც განსაკუთრებული უნდა. მეც, პირველი შვილი რომ შემიძინა, ვიფიქრე რაღაც დამეწერა მისთვის. მართალია, ძალიან კარგი ავტორები გვყავს, ვუკითხავდი კლასიკოსებსაც — მაყვალა მრეველიშვილს, გივი ჭიჭინაძეს, ნოდარ დუმბაძეს, მაგრამ მეც მქონდა სათქმელი მისთვის. სწორედ მაშინ დავიწყე წერა. და როცა მეორე შვილიც შემიძინა, უკვე მივხვდი, რომ ძალიან მომწონდა ეს პროცესი. ბავშვებთან დიდ დროს ვატარებდი, ვსაუბრობდი, მათ სამყაროს ვეცნობოდი, ვაკვირდებოდი რეაქციებს, რას როგორ აღიქვამდნენ, როგორი ლექსები მოსწონდათ.

— და როგორი ლექსები მოსწონთ ბავშვებს?

— ბავშვებს მოსწონთ ხალისიანი, თავისუფალი, ლალი ლექსები. ძალიან ვბრაზდები ხოლმე, როცა ვხედავ, როგორ



აძალებენ მშობლები შვილებს მიძიმე თემებზე დაწერილი, არასაბავშვო ლექსების დაზეპირებას, ანდა სულაც უგემოვნო, მძარე ხარისხის ლექსის დასწავლას სთხოვენ. მერე ბავშვებს აღარ უყვართ არც ლექსი, აღარც პოეზია, აღარც წიგნი.

— პირველი ლექსები სად გამოქვეყნდა?

— ლექსები პირველად ჟურნალ „დილაში“ დაიბეჭდა და ძალიან კარგი გამოხმაურე-




არის ჩემთვის ახალი ამბავი. მადლობა ღმერთს, უკვე სამი წელია, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მწერალთა სახლი გასცემს იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო პრემიას. თუმცა არც ეს არის საკმარისი — საბავშვო ავტორებს, ვფიქრობ, მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ. ბევრია დამოკიდებული გამოცემლებზეც, ისინი დიდად არ ინტერესდებიან თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობით, ალბათ იმიტომ, რომ მოთხოვნა ნაკლებია, მშობლებს კლასიკოსი ავტორების წიგნები ურჩევნიათ შეიძინონ, თარგმნილ ლიტერატურას ანიჭებენ უპირატესობას, თუმცა მაინც ყინული გალღვა თითქოს, ახალი ავტორები სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიყვანეს, მათი ნაწარმოებები სულ უფრო პოპულარულია ნორჩ მკითხველში. მე და ჩემს მეგობრებს სკოლებში გვიხდება ხშირად სიარული, ბავშვებს, პედაგოგებს ვხვდებით. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მწერალი სკოლაში, ბავშვებთან მიდის. მე სამდღურავე ნამდვილად არაფერი მაქვს, ჩემი 15-ზე მეტი წიგნია გამოსული, მაგრამ თანამედროვე ავტორს ერთგვარი პიარკამპანია მაინც სჭირდება.

— დიდი სარეკლამო კამპანია ჰქონდა „გამომცემლობა პალიტრა L“-ის ძალიან პოპულარულ სერიას „თოვლის გუნდა“. ამ პროექტში თქვენც მონაწილეობდით.

— რამდენიმე წიგნი დავწერე ამ პროექტისთვის. „თოვლის გუნდა“ მართლაც ძალიან წარმატებული სერიაა, სხვადასხვა ავტორმა შექმენით ამ პერსონაჟზე სხვადასხვა ამბები და ძალიან პოპულარული გახდა ბავშვებში. როგორც ორისამი წლის წინ გამოცემული წიგნები, ისე გუნდას ახალი თავგადასავლები ახლა ახლიდან იბეჭდება.

— თქვენ ერთ რომელიმე გამომცემლობასთან ასოცირებული ავტორი არ ხართ, ყველასთან თანამშრომლობთ. მაგალითად, პირველი წიგნები „დიოგენემ“ გამოსცა.

— პირველი წიგნები „მელაკუდას მალაზია“ და „ჩიტის მოტანილი ამბები“ 2007-2008 წლებში, ასევე ლელა ცუცქერიძესთან თანაავტორობით შექმნილი კრებული „ნაძვის ხის მოსართავი ლექსები“ 2012-ში „დიოგენემ“ გამოსცა. შეიძლება ითქვას, ლიტერატურულ კონკურს „წეროზე“ გამარჯვების მერე ერთგვარი მწვანე ამინთეს გამომცემლობებმა და მეც აქტიურად ვითანამშრომლე „დიოგენესთან“, „საუნჯესთან“, „სეზანთან“, „შემეცნებასთან“, „ელფთან“, „პალიტრა L“-თან. დღემდე ასეა, ვინც დაინტერესდება, ყველასთან მზად ვარ, ვიშუშაო. 2011 წელს „ელფის“ გამომცემლობისა



და საზოგადოებრივი რადიოს მიერ გამოცხადებულ საშობაო ზღაპრის კონკურსზე ჩემმა პიესამ „დაბრუნებული ბგერები“ პირველი ადგილი დაიკავა. რადიოდღამა 2012-ის 7 იანვარს გადაიკა საზოგადოებრივი რადიოს ეთერში, ხოლო წლის ბოლოს წიგნადაც გამოიცა. მას შემდეგ „ელფთან“ კიდევ არაერთხელ ვითანამშრომლე, მათ ჩემი „მხიარული ლექსები“ და „ჩხუბი სამზარეულოში“ გამოსცეს.

— ახალ წიგნზე ხომ არ მუშაობთ?

— უკვე რამდენიმე წიგნის მასალა დამიგროვდა. „პალ-იტრა L“ ამზადებს ჩემი ახალი ლექსების კრებულს. ველოდები, რომ წიგნი გაზაფხულამდე გამოვა. კრებულს ერთ-ერთი ლექსის სახელი, „ვინ უპასუხებს ირაკლის“, დავარქვია.

— მგონი, ეს ის ლექსია, რომლის გამოც ერთხელ სოციალურ ქსელებში გაგაკრიტიკეს. მაინც რატომ აღშფოთდნენ?

— დიახ, ის ლექსია. არ ვიცი, რა მიზანი ჰქონდა ასეთ ლანძღვას. ერთ-ერთ ახალ სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანეს, ჩემს რამდენიმე სხვა ლექსთან ერთად და ამას მოჰყვა ყველაფერი. ეს არის ლექსი პატარა ბიჭუნაზე, რომელიც, როგორც ყველა ბავშვი, ბევრ ისეთ შეკითხვას სვამს, უცნაურ შეკითხვას, უფროსებს რომ არ გაუჩნდებათ. მაგალითად, ლექსში ასეთი სტროფაა: „ლამურა ლამით ხომ ფრინავს?/დღისით ხომ ფრინავს ბელურა, ბელურას რატომ ვეძახით,/რატომ არ ჰქვია დღემურა?..“ ერთგვარი სიტყვების თამაში, ბავშვური ლოგიკაა. არადა ამ უწყინარმა ლექსმა დიდი ხმაური გამოიწვია, დაუნდობლად გამლანძღეს. გაოგნებული ვკითხულობდი კომენტარებს, გამოხმაურებას, ვერ მივხვდი, რა უნდოდათ, ძალიან ვინერვიულე. კიდევ კარგი, რომ იყო საპირისპირო გამოხმაურებაც. ბევრი დამცველი გამოუჩნდა ჩემს ლექსს და ეს ძალიან მანუგებება მაშინ.

— საუფროსო ლექსებს რატომ არ წერთ?

— საუფროსო ლექსებს არ ვწერ, რადგან ჩემი საყვარელი პატარა პრინციპით მეც ვფიქრობ, რომ დიდები უცნაური ხალხია. არ მინდა, იმ დიდებს დავემსგავსო, ვისაც რიცხვების მეტი არაფერი ადარდებთ. ჩემი საყვარელი მწერალი, იანუშ კორჩაკი ამბობდა, უფროსებს თუ რამე არ მოეწონათ, „ვერ გაიგებენ და სიცილს დამაყრიან, მაგრამ მათ ხომ ვერაფერს დაუშლი?“ ამიტომ მეც ბავშვებთან ურთიერთობა მიწევს.

— მწერლისთვის მთავარი შემფასებლები ალბათ სწორედ ბავშვები არიან. მწერალთა სახლის არაჩვეულებრივ პროექტზე მიამბუთ, ბავშვებთან შეხვედრებზე, რომელსაც არაერთი წელია უძღვებით.

— როგორც იცით, მწერალთა სახლის ამ პროექტში თავიდან მწერალი მაკა მიქელაძე მონაწილეობდა, შემდეგ გამომცემლობები მასპინძლობდნენ ბავშვებს. უკვე მეექვსე წელია, მე უძღვები შეხვედრებს და ყოველ შაბათს დიდი სიხარულით მივდივარ მწერალთა სახლში, ბავშვებთან შესახვედრად. ლიტერატურაზე, კონკრეტულ წიგნებზე ვსაუბრობთ, ამა თუ იმ ავტორს, თემას, ტექსტს განვიხილავთ, ვკითხულობთ ფრაგმენტებს ნაწარმოებიდან. თუ წიგნის საფუძველზე მხატვრული ან ანიმაციური ფილმია გადაღებული, მის ფრაგმენტებსაც ვნახულობთ. გარდა ამისა, ჩემ მიერ საგანგებოდ მომზადებულ პრეზენტაციას ვმართავთ, სლაიდოებით, ბავშვებისთვის ვიზუალსაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვები უამრავ შეკითხვას სვამენ, ძალიან თავისუფლად გრძნობენ აქ თავს, და როცა მიდიან საოცრად გულის ამარყებულ ბარათებს, ან ჩანახატებს მიტოვებენ, ხშირად მეც მხატვრულ ბავშვებისგან წამოშლილი ეს ულევო სიტყვები და სიყვარული ყველა პრემიას თუ შექებას გადაწონის.

— ბავშვობაში თქვენც ცყავდათ ალბათ საყვარელი ავტორები.

— როგორც მოგახსენეთ, სამი ავტორი, მაყვალა მრეველიშვილი, გივი ჭიჭინაძე, ნოდარ დუმბაძე მიყვარდა ძალიან, ახლაც სიამოვნებით ვუბრუნდები ხოლმე მათ ლექსებს და ვუკითხავ ბავშვებს, შეუდარებელია ასევე არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“ და „ჯადოსნური კაბა“ და ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“. უკვე ვახსენე ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი და იანუშ კორჩაკი. თანამედროვე საბავშვო მწერლობაც არანაკლებ საინტერესოა.

— თარგმანებზე ინტენსიურად მუშაობთ?

— თარგმანს ვაგრძელებ, დიახ. გამომცემლობებისგან შეკვეთები მაქვს. ვთარგმნი მარტოც და მეგობრებთან ერთადაც. ძირითადად, პოეზიაზე ვმუშაობ. თუმცა პროზასაც ვთარგმნი. მაგალითად, ახლახან დავასრულე მუშაობა საბავშვო მწერალ ბეატრის პოეტის ზღაპრებზე, რომელსაც „ელფი“ გამოსცემს, იგივე გამოცემლობა დაბეჭდავს თანამედროვე რუსი ავტორის საყმაწვილო რომანს „მაიას კალენდარი“, რომლის თარგმნაც ახლახან დავასრულე. „არტანუჯი“ მალე დაბეჭდავს ამბროზ ბირისის „ემმაკის ლექსიკონს“, ეს უფროსებისთვის დაწერილი წიგნია, პროზაული ნაწილი თამარ კოტრიკაძემ, ლექსები კი მე ვთარგმნი.

— ფოტოგრაფია თქვენი თემა ბავშვებია?

— ფოტოგრაფია ჩემი ადრინდელი გატაცებაა, მაშამ შემაყვარა. ჩემი პროფესიაც, არქიტექტურა, ძირითადად, მაინც თვალთ, ხედვაა, აღქმაა. ეს მეხმარება ფოტოების გადაღებაში. მომწონს, როცა ჩემს დანახულს და აღქმულ მოვლენებს, საგნებს, სახეებს, სხვასაც ისე ვაჩვენებ, როგორც თვითონ ვხედავ. ფოტოგრაფიაში სათქმელს ვიზუალურად გადმოსცემ, ლიტერატურაში — სიტყვებით; ასეა.

რაიენ ვან უინკლი თანამედროვე ამერიკელი პოეტი, მთარგმნელი, პოდკასტერი, პერფორმერი და კრიტიკოსია, რომელიც ცხოვრობს ედინბურგში. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული: „ხვალ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ აქ“ (Salt, 2010) და „მშვენიერი სიბნელე“ (Penned in the Margins, 2015). მისი ტექსტები შესულია 2010 წლის „თანამედროვე პოეტთა ოქსფორდის ანთოლოგიაში“. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია. ავტორია პოეტური პერფორმანსის: „წითელი, როგორც ჩვენი საძინებელი“, რომელიც „გარდინამა“ შეაფასა, როგორც „ინტიმური და შთამბეჭდავი“. მისი ტექსტები თარგმნილია ქართულ, ფრანგულ, სერბულ, გერმანულ, არაბულ, ბულგარულ, ლატვიურ, რუსულ, თურქულ და სხვა ენებზე. „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა“ რამდენიმე დღე-ღამე გამოსცემს მის პოეტურ კრებულს „ხვალ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ აქ“.

რაიენ ვან უინკლი

თანაც, კრავთა მოგაგის ღროა

თუ გინდა, იყო ყვავილები ყვითელი ფერის.
ყველაფერი რიგზეა
ირგვლივ: ეკლესიასთან ბავშვები
დედებს კალთებზე ექაჩებიან,

კრავებიტაა მინდორი სავსე,
ძუძუს წოვენ დედის ჯიქნიდან,
პირველ ნაბიჯებს ფრთხილად დგამენ რბილ მიწაზე,

ფეხით რომ ვთელავ. და თუკი თვალი აეხილათ,
ალბათ ხედავენ
შავ ფიგურას, ჭიმკრიდან რომ გამოვიდა და
წყაროსკენ მიემართება.

და ინსტინქტი თუ არ ღალატობთ,
ალბათ თრთიან, როცა დედები
ძუძუს ართმევენ.
ცხვრები ჩქარობენ, რომ გაარიდონ ბატკნები

საფრთხეს, გადაეფარონ ორივე მხრიდან,
სირბილისას
ბასრი ჩლიქებით თელავენ ნაკელს,
ყვითელ კბილებს გამოაჩენენ

და ნანყვეტ-ნანყვეტ მწარედ ბლავიან მამის ძველი,
მომაკვდავი კრავისლერივით, ბლავიან — თითქოს
შოტლანდიურ დუდუკს ურტყამენ რკინის ფირფიტას,
ანდა — თითქოს ღმერთი მოთქვამდეს:

შორს ხელები საყვარელი
კრავებისაგან, ჩემი ფაფუკი კრავებისაგან.
მაგრამ დედებით
გარშემორტყმული ბატკნები უცებ,
რალაც ჯადოთი უკან რჩებიან,

ბორძიკ-ბორძიკ მიბიჯებენ.
მარჯვენა ხელით ჭიმკარს ვაღებ,
მერე კი ვხურავ. ღობის იქით
გრძელ რიგს ვხედავ შავი თვალების.

და კრავები, საზღვრისა რომ არაფერი არ გაეგებათ,
პოულობენ თავიანთ დედებს,
ისევ ძუძუებს უბრუნდებიან, სიტკობს,
რომელსაც ხარბად იწოვენ. მინდა,
ტალახში ჩავყო ხელები,

მინდა ჯინსებით და სვიტერით შევიწოვო
მთელი ეს ჭუჭყი, ისევ ცხვრად ვიქცე.
ალდგომა მოდის.

მე არა ვარ ჩემს სამშობლოში და გარშემო აჩრდილები
ბორიალობენ.
დედაჩემის რძე მონათალო-მოყავისფროა.

ლაქა

მოსალამოვდა. მართას მთელი დღე ლოდინში
გადის. სარეცხს თოკიდან ჩამოხსნა უნდა.

ბორდოსფერი ვისკის ბოთლი თითქმის დაცალა,
თან მოქუფრულ ცას გაჰყურებს.

„ქარიშხალი გვიახლოვდება“, — ამბობს თავისთვის.
კარებთან ძალი კუდს აქიცინებს.

შემოდგომა ძალაში შედის. სულ მალე,
უკვე საშრობში შეყრის ჩვენს ტანსაცმელს

და მორჩენილი ექნება საქმე.
გარეთ მაგ ზავნის. ცარიელ ჰაერს გემოს ვუსინჯავ,

ძალი გარბის ხეებისაკენ.
გახეებულან წინდები და მისურები.

მათ გამხმარი ცომივით ვკეცავ.
სახლში ირთვება ტელევიზორი.

მართას ქათქათა პერანგს ვფერთხავ და
ღია ბორდოსფერ ლაქას ვპოულობ.



მინდა, ნავილო აბაზანაში,
ამოვფხიკო ფრჩხილებით და
მავთულის ღრუბლით,
მისი ფერი წყალს გავატანო.

უკვე ბარათ ვიყავი, როცა ყველაფერი ჩამოინდობა*

დილაობით მკვდარივით აღარ ვიღვიძებ ხოლმე და ემბრიონივით მოკუნტულს ახალი დღის არ მეშინია, მეტროში აღარ დავბორიალობ, აღარც ქუჩის ჩრდილები მზაფრავს. ცხოვრება უკეთესია ბეტისა და იმის გარეშე, რაც მასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამ ბოლო დროს მეჩვენება, რომ ქუჩის სინათლეები განუწყვეტელი ციმციმებენ, როგორც შუქნიშნები — გამთენიისას. არ ვიცი, შეიძლება ბევრს ვმუშაობ და ამის ბრალია, რომ მძიმედ ვარ და ნაისტაუნში არავის არაფერი სმენია მტვერზე. უკვე მანუხებს, რომ ნიუ იორკიდან წამოვივდი და შეიძლება, პენსილვანია ძალიან შორს სულაც არაა. შეიძლება, არსებობს ადგილი, სადაც პირდაპირ ხიდან მოწყვეტ ატმებს და ფორთოხლებს. ოცნებიდან გამოფხიზლებულს მეფიქრება — სულად ხომ არ გადავიქცევი? ნულვ ბარში ყველა ისევ ფოქს ნიუსს უყურებდა. ზედაც არავინ შემომხედა. მინდოდა, მეთქვა: კარგი იყო, ასე რომ მოხდა. არასოდეს მიყვარდა ეს გაყინული შენობები — დილაობით, როცა გრძელ საწვიმარში ტროტუარზე მივსერილობდი, მათი ჩრდილები ასფალტზე ყინულის ფილებივით განრლილიყვნენ. და ერთხელ, ბეტი იქ დავინახე, სადაც სულ არ ველოდებოდი — ტაქსი გამომწვევად გააჩერა იმ დედამოცნულ მე-15 ქუჩაზე. ვიფიქრე, ღმერთო, აქ რატომ უნდა ვყოფილიყავი. იმ დღით ცოტა გვიან ნავედი სამსახურში. იმ არეულობაში ტელეფონი სადღაც შევტენე, ზედ პორტის ადმინისტრაციასთან ავარიაში მოვყვი. და ეს მხოლოდ მცირეოდენი ნუგეშია, რომ ჩემი ფოტო კედლებზე, დალუპულთა გვერდით არ კიდა. ასე რომ ყოფილიყო, ბეტის ალბათ საკმარისი ფული გაუჩნდებოდა 9/11-ის დაზღვევისაგან. მომწონს, როცა წარმოვიდგენ, რომ იმ საშინელ ორმოსკენ მიდის, ვხედავ მზის სხივს მის სახეზე და ახალ მამაკაცს — მის მკლავზე. ალბათ ფიქრობს, რომ ჩემი ძვლები საიმედოდ დაიმარხა, რომ წარსული არის წარსული და არის წარსული და სახლში მისვლას აღარ ვაპირებ.

* ლექსი ეხება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტს ნიუ-იორკში — მთარგმნელის შენიშვნა.





ჩვენი ბედი, რომ დროზე შევჩერდით, რომ მოგვეცა შესაძლებლობა სხვებთან შეხვედრის უკეთესად მოწყობილ ბინებში უფრო გახსნილი სივრცეებით.

ნითელი ოთახი

როცა ოთახი მჭახე ნითელში გადავლებეთ, ძუძუს ქვეშ ბლანტი საღებავი მიენება.

გვიან ღამე ვიგრძენით, რომ საღებავი გამშრალიყო. თედოზე ნითელი ლაქა ჰქონდა —

ეს იმის გამო, მნიფე ხილივით რომ გავსინჯე და საღებავის მძაფრი სუნი არად ჩავაგდე. მეორე დღით მაზიდებდა, თმებზე ზეთი მქონდა შემხმარი.

ზედ ბუზრის თავზე, გამშრალ, მკვეთრი ფერის კედელზე სურდა თავისი სურათების ჩამოკიდება — იაპონური ღია ბარათების ფაქიზი რიგის.

მე კი მინდოდა უქულოდ ქარში ხეტიალი. არასოდეს აღარ მინახავს, თუ რომელი ბარათები ამოარჩია.

მწვანე ოთახი

საახალწლო ნაძვის ხე მთელი ოთხი თვე კუთხეში ედო, და საბოლოოდ როცა მოვიბღვე, მხოლოდ ტოტები შემორჩენოდა. წინვები შიშველ ფეხისგულეებში გვერჭობოდა, მერე ლოგინში იყრებოდა. ერთმანეთზე ასე ვზრუნავდით. დილაობით, ცარიელ კედლებზე ფარდა ჩრდილებთან თამაშობდა, სადაც ფიქრობდა გირლანდების და გობელენის ჩამოკიდებას. ხე კი მანამდე სრულიად გახმა, ქირის ვადა ამოინურა, ხალიჩა წინვებით დაიფარა.

თეთრი ოთახი

ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გადმოალაგეს:

კომიქსები კარადებიდან LP* და კასეტები,

აფიშები, პლაკატები, რბილყდიანი წიგნები.

კრემისფერ ხალიჩას ლაქები მოაშორეს. ჩემი პირველი ღამის მოწმე ლეიბი

ახლა "ხსნის არმიის" საკუთრებაა. სახლს ველარ ვცნობ.

ოთახში კედელზე მიყუდებული ერთადერთი სარკელა დარჩა.

აღარც ჭიკარტის ნახვრეტები, აღარც მრგვალი ანაბეჭდები ყავის ჭიქების.

ჟურნალების მაგიდაზე შალოგენის ნათურის შუქი.

საოპერაციო თეთრეულივით გაქათქათებული ზენრები.

„თითქმის მოვრჩით, — ამბობენ ისინი, —

სულ ცოტაც და ოთახი უკვე მზად იქნება.“

*LP (Long Playing) — ვინილის ფირფიტაზე ჩანერილი მუსიკალური ალბომი — მთარგმნელის შენიშვნა.

რაინ ვან უინქლი

მკვდრების გატანა

წაგებული არმია ჩვენს დაგებულ გზებს აბინძურებს. მკვდრებზე დავდივართ, ქალაქს ვაღწევთ, სახლში ვბრუნდებით. შუადღისას რუხი ენოტი და ბრმა ძალი შემოგვეყვრება. სვლას ვანელებთ, დანაშაულის კვალი სანამ არ ნაიშლება. გვამებს წვიმა და მატლი შემუსრავს. მაგრამ ზოგჯერ შიგნულშიც აღწევს სიმყრალე. ჩვენც გვექნება საფლავის ქვები. ხბოს ხორცს საჭმელად ვერ ვეკარებთ, სუნი გვანუხებს. მეზობელი ქალაქის მერიას უკავშირდება. ჯინსებში ჩაცმული მოვიჩქარო სტაფილოსფერი ექსკავატორით და სატივროთო მანქანით. მთელი ზაფხული გზები დაყრილ ცხედრებს ითვლიან, როგორც სისხლით გადაღებულ ნითელ ბამპერებს მე-11 გზიდან ვიდრე ვოლნატამდე. ყოველი გვამი ხოცვა-ჟლეტის სცენიდან გამაქვს, როგორც უსულო დეკორაცია, ჯარისკაცების თრევისას ვცდილობ, არ ვისუნთქო, სანამ სხეულებს თხრილში მოვისვრი, სადაც ვყრიდით ჩაის პაკეტებს, ჭუჭყიან სახვევებსა და მანქანის დაშლილ ნაწილებს.

პლუმბასი*

ეს ხორცისფერი დღეც გაილია. ვსვამ. მეგი ხარშავს ჩვენი ყანის ოქროსფერ სიმინდს. გაკრეჭილ გაზონს შევავლებ მზერას, კარგად ვიცი, გათიბული ბალახი საკვებია ჩვენი ბალისთვის და ივნისისკენ მკრთალ ჩალისფრად გადაიქცევა. ტუჩები თანდათან მინითლდება. მშვიდი ვარ, როგორც ბანაკში ცეცხლი.

მახსოვს, ყურმილს მე ვუჭერდი, როცა უკრავდა. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა: ათი წელი, ან — ცოტა მეტი. ერთადერთხელ, მთელი სახლი თითქოს დამუნჯდა. ყველა ჩვენგანი — ტუნა დევიც — ხმას არ ვიღებდით. სუნთქვაშეკრული მიყვებოდით მისი სიმების ენერგეტიკას: Red Dirt Girl მაღალ ნოტზე მოწყვიტა,

მისი ბანჯო ისე თრთოდა, როგორც კანი — მოფერებისას. ერთი ნოტი — ტყავის მათრახი გვირილებით სავსე მინდორში, მეორე კი — შემოდგომის ნაზი ფოთოლი. ეროვნული რადიოს თანამშრომელმა, ნიუ იორკიდან რომ უსმენდა, უთხრა: ჩრდილოეთისკენ აიღე გეზი, ფულს ბლომად მოგცემთ, ოღონდ ჩამოდი.

ეს იყო და ეს. სახლი სრულიად დაცარიელდა. აღარ ბუჭუტავდა ცეცხლი კარავში, უეცრად გაქრა ბალახის სუნი და გვიანი ღამეები, როდესაც ყველა საკუთარი ინსტრუმენტით ერთად ვისხედით. ზოგიერთები ისევ ვაგრძელებთ ურთიერთობას, მაგრამ არ ვიცი, ის სად წავიდა, ნიუ იორკამდე თუ ჩააღწია,

მიატოვა თუ არა ნეშვილში სამსახური, ან ტუნასავით, კონსერვის ქილები და ბოთლები თუ ამჯობინა. დიდი დროა უკვე გასული. მუსიკა იყო ისეთი რბილი, ხვეწმული, როგორც ბალახი ჩვენს მხარეში. მაგრამ ხშირად, ყველაზე უფრო ის მენატრება, როცა მეგი ჩემს სახელს ყვირის — მეძახის, რომ სიმინდი უკვე მოხარშულია.

*პლუმბასი — მუსიკალური მიმდინარეობა, რომლის წინამორბედად ითვლება ქანთრი და ფოლკი; წარმოიშვა მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ამერიკაში, აპალაჩის რეგიონში — მთარგმნელის შენიშვნა.

დაუმთავრებელი ოთახები

ყვითელი ოთახი

ორი წელი საწოლის გვერდით ცარიელი ნათურა ეკიდა.

ეს იყო ტომ უეიტსი, თუკი ტომ უეიტსი შეიძლებოდა ნათურა ყოფილიყო.

ვერსად ვიპოვე საჭირო ზომის ბრა და ამიტომ ზაფხულობით ვუყურებდი ნათურის ირგვლივ მოფარფატე ფარვანებს

ფრთები როგორ ეტრუსებოდათ. ეს ოთახი — დახრილი ჭერით — სხვენში იყო და იქ ზოგჯერ

ისეთი სიჩუმე, სიცივე და სიმყუდროვე ჩაიბუდებდა, რომ კარავში მეგონა თავი.

ყავისფერი ოთახი

იყო კიდევ ერთი ოთახი, სადაც მე ზემოდან მოვექეცი, ის მთვრალი იყო, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოძრაობდნენ მისი ხელები,

დამისვლდა ბამბასავით გამშრალი პირი, ჩვენ გვერდით, იატაკზე გორებდა ენყო გაყვითლებული ძველი წიგნები ნატიფი შრიფტით. ბიბლიოთეკის საცავს ჰგავდა ეს ოთახი.

თარგმანი ნინე გიორგაძე

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004